

# მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესან კეთილმან სული თვისი დასდღის ცხოვართათვის. იოან. 10—11.  
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ ივის სიბარული ცოა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.  
მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურაღნი და ტვირთ-პიძინენი და მე განვისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 13—14

1883—1905

30 ივლისი

საპატრივოლს ეკლესია და სამღვდლოება უწინ და ახლა.

(დასასრულია\*).

გახინა ახალი სემინარია, სასულიერო სასწავლებლები, სადაც ქართულის ენის სწავლება მაშინვე ჩამოკეციდა. თვით ქართველ მოსწავლე ბავშვების ბედიც თან-და-თან შეიცვალა და დღეს ტფილისის სემინარია და სასულიერო სასწავლებლები, თუმცა საქართველოს ეკლესიებისა და სამღვდლოების ხარჯით ინახებიან, მაგრამ უფრო მეტი რიცხვი სხვა თემისანი იზრდებიან. შესწუდა სამღვდლოთა და სხ. შვილთა აღზრდა-სწავლება საერო ნიადაგზედ და ამით გადაგვარდა კიდევ ახალი სამღვდლოება.

უცხო ენაზედ ნასწავლობა სამღვდლოებაში

უცხოურად იწყო ფიქრი, წერა და ცხოვრება. ესე გადაგვარებული სამღვდლოება ქართველ ერსაც ეუცხოვა და აღმაკურად ყურება დაუწყოა. ამ გადაგვარების დროს სამღვდლოებას ხელიდან გამოეცალა საეკლესიო მამულები და ხაზინა დებატრონა მას; ხალხმა გაიგრილა გული თვით ეკლესიაზე, სამღვდლოებაზე და ნდობა დაეკარგა. ძველი მუშაკი სამღვდლონი თითო-თითოდ ჩავიდნენ სამარეში და მათ მაგიერ ჩადგნენ ხალხის სულიერ მწყმესებად ახალნი „სემენარისტნი“, რომელთაგან ბევრმა რიგინი ქართული კითხვაც (ხუტურ-მხედრული) არ იცოდნენ. ხალხისთვის უცნობნი იყვნენ იგინი და ხალხი მათთვის.

ახალ სამღვდლოებას გაუტკბა ზარმაკობა, დაკარგა ძველებური უნარი თვით-მოქმედებისა, თვისი წმინდა საქმე დაივიწყა, ზურგი შეაქცია ძველ სასულიერო ისტორიულ ტრადიციებსა ღ სრულიად

\*) იხ. „მწყმესი“ № 12, 1905 წ.

დემორჩილა სხვის ბრძანებლობასა და ნელ-ნელა „ჩინოვნიკად“ გადაიქცა: სასულიერო მთავრობამ პოლიტიკას მიჰყო ხელი და თავის მოსაზრებათა აღმასრულებლად სამღვდლოება გაიხიდა. თავის ხელით არას აკეთებდა და ხალხის მძიმე ტვირთად შეიქნა. აუტანელმა ხარჯთა და გადასახადთა მუდმივმა ზრდამ, ხშირმა დარბევამ და აკლებამ ხალხი თან-და-თან გალატავა და ლუკმა-პური დაუძვირდა, ხელში აღარა შერჩა-რა. ამის შემდეგ სამღვდლოებას როგორღა შეინახავდა? ამავე დროს თავად აზნაურობაც დაეცა, გაღარიბდა, დაკარგა თავისი გავლენა. ბატონ-ყმობის გადავარდნამდე მამაშვილოურად მსკობრებნი თავდა-აზნაურნი და გლეხნი შემდეგ ერთმანეთის მტრებად გარდაიქცა ახალხმა წესწყობილებამ ერთმანეთის მოქიშეებად გარდაჰქმნა და სამღვდლოებას შხარი აუკრეს ერთმაც და მეორემაც. თავდა-აზნაურობა დაიკვირთა დიდის ხარჯებით, ვარდსახადით, უცხო ცხოვრებამ გლეხებივით ხარჯები გაუორკეცა და სამღვდლო საქმეები აეწეწა და თავში საცემი გაუხდა. ხაზინამ თავისი მშლეთა-მძლე ჩინოვნიკების პირით ხელი წაატანა ყველგან თავდა-აზნაურთა და გლეხთა საკუთარ მთა-ბარას და საღაოვ გახადა. გაება გაუთავებელი დავები და მათს დაბოლოებებს ღამის შვილის-შვილი ვეღარა შეესწორა. ამ უსამართლო დავების წარმოებაში ჩვენი შემოღება შთანთქა, ბევრი შეძლებული ოჯახი მიწასთან გაასწორა. დღეს ამისთანა გაკვირვებაში მყოფს ქართველს ერს ურწმუნოებას სწამებენ კიდევ, ვულგარილობას უკივიბენ — ეკლესიაზე და სამღვდლოებაზედ ხელი აიღო-ო... მერე სხვა რომელმა ერმა აიტანა ამოდენა უსამართლობა, ამოდენა დამკვირება? არა, ქართველი ერის მოთმინება უზომოა მთელს ქვეყნიერობაზედ!.. სამღვდლოებამ ხელი გაუწოდა შემწვობისათვის მთავრობას, მაგრამ რა გამოვიდა, დღეს მომეტებული ნაწილი საცოდავის სამღვდლოებისა ხაზინადგან იღებს წლიურ ჯამაგირს 70—100 მ. უმკირესობა კი ოცდა-ხუთიდან—ოცდა-ათამდე თემანს. ამ უარარაობის დროს სამღვდლოებას დააწვა კიბურზედ უსარგებლო ხარჯები უსარგებლო სემინარიისა და სასწავლებლების შესანახად: სამღვდლოება და ეკლესიები იხდიან ფულებს პოველწლივ მათ შესანახად და, უსარგებლოდ რათ ინარჯება, ამისას კი არასა ჰკითხავენ; რას ასწავლიან, რას არა—მაგი-

სი არა იცის-რა სამღვდლოებამ: გარდაიქცა სამღვდლოება შექველ ფურად, საპირს ცხვრად და გამოიფიტა მისი ჯიბე და სახლი. ამისთანა უბედობება, არ თქმა უნდა, სამღვდლოებამ დაჰკარგა სასოფელს უყეთესის მერმისისა იმედი გადაუწყდა და ღმერთს მიანდო თავისი უსამართლოდ განადგურების სამართალი!.. ნუღარ იტყვიეთ, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება სრულიად განშორდა ეკლესიასა და სამღვდლოებასა. მაგრამ კარგად ვიცით, რომ მაგ განშორების მიზეზი ჩვენის სამღვდლოების გადაგვარებაა, და არა სარწმუნოებრივი გრძნობის შესუსტება. ქართველი ერი უწინადაც და ენლაც ღრმად მორწმუნეა, თავის ღღეში ურწმუნოებას არ შეუშფოთებია მისი გული, და იმედია არც კვლავ უღალატებს ქრისტეს ციურ მოძღვრებასა. თუ ქრისტე ურიათა მღვდელ-მოძღვრებასა და ფარისევლებს ამხოლებდა და ებრძოდა, განა დღეს ქრისტეს მოძღვრების ღრმად მორწმუნე ქართველი ერი მათზედ ნაკლებს მღვდელ-მოძღვრებს ებრძვის? მაგრამ დღევანდელი საერთო ქირ-ვარამი ბევრს კუზიანს გაასწორებს, ბევრს ბრძას აუხელს თვალსა. დღეს უტყუარ ნიშნებსაც ვხედავთ, რომ ჩვენი სამღვდლოება გრძნობს თავის ნაკლსა და შეუღდა კიდევ მაგ ნაკლის შევებასა, ძველ შეტოვამათა გასწორებას. მართლაც, და ვინ დაუშლის ჩვენს სამღვდლოებასა სულიერად განახლების გზას დაადგეს და წინაპართამერს სათაყვანებელი შეიქმნეს მთელი ქართველი ერისათვის? ოღონდაც! ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ ვანებრივ-ქონებრივად გაღარიბებული სამღვდლოება მოგებრდა—ქონებრივად გალატავე-ბულს ქართველობასა. თუ უწინ კეთილდღეობა ეამს სამღვდლოებზეა წინ უღლიდა ქართველს ერსა და საერო დიდების დროშას ირივე ერთად ატარებდნენ, დღესაც ამ უბედურს დროშაც ხ-მ გაკირვების ქაპანს ერთად ეწევიან? ვისთვის რა საკვირველია, რომ სამღვდლოებამ მართლად-მართლამ ატარა დღემდე დიდი საერო საქმე და ბოლოს თვისთავან უმწოდო დატოვებულმა ხელი აიღო უსარგებლო ბრძოლაზედ და დაფუთოილი ნაკვერჩხალოვით მინდლდა? მოვიგონოთ ტრიფილვე, იოანე ოსეს ძე, მარიამ მლოხოზანი, დოსითეოს ქუთათელი, ფთოვიმ, გენათელი, მღვდლები მაისურაძეები, ჩახტაურები მესარიონ ბერი, ფილადელფი კენაძე, იონა ხელია შვილი, გრიგოლ და ტარასი არხიმანდრიტები და



სხ. მრავალნი. მათი თავგადასავალი ჭკას აატირებს, მაგრამ მათს ღუხტირობას ზედაც არავინ შეხედა და მათთვის თავი არავინ გამოიღო.

კმარა! დღევანდელს გაკვირვებას რომ თავი დავხწოთ, აუცილებლივ საჭიროა მთელი ქართველის ერის შეერთება, ერთის სურვილით აღკურვა. ჩვენი დამღუბველი და გამანადგურებელი მხოლოდ ჩვენი საურთიერთო გადაგვარებაა, ჩვენი შინაური მტრობა. სწორედ დღეს არის ჩვენთვის საჭირო — ვაუკარებდეთ ურთავთანს, რათა ერთობით ადგარებდეთ საერთოდ — ჩვენის სამშობლოს სიყვარულს, მშხასას და ერთობასა. დიდს დაღატაკ უწევენ ჩვენ სამშობლოს ის ბატონები, რომელნიც გესლიანის გველური ოსტატობით ღვარძლსა სთესენ ქართველის ერის წოდებათა შორის და უნდათ ერთმანეთი ამოაწყვეტინონ. დღეს, მხოლოდ დღეს საჭიროებს ჩვენი სამშობლოს ყველა წოდებათა შეერთებას! ქართველმა ერმა უნდა მოახდინოს დიდი საერო კრება და კვლადამჯდარის, აუჩქარებელის თათბირის შემდეგ უებარი რამ წამალი გამოუნახოს ჩვენს საერთო დაცემულებასა, ჩვენს პირქვე-დამხოზასა. ამისთვის კი საჭიროა ეხლავე შეიგნოს გლეხობამაც, თავდაზნაურობამაც, რომ ერთმანეთის წაიკიდებთ ერთმანეთს დაღუბვენ; ერთმანეთს ამოსწყვეტენ ღ ჩვენი სამშობლო სუფრა სერიის მაყურებელ მტერს დარჩება! ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ათასში ერთხელ თქმით საქმე რამ წავგიხდენია, უთქმელობით უფრო მრავალი საქმე წავახდინეთ და ცოდევა თავს მოვიხვიეთ! ნუ დავივიწყებთ, რომ ხმის ამოუღებლობით ადრე ნაბჭერი სიკეთე ხელადან წავგივიდა და დღეს საძებნელი, თავში საცემი ვაგვხობა. ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენ მამა-პაპათა შეცთომანი როგორმე შევა-სწოროთ, წამხდარი საქმე გამოვაკეთოთ და შთამომავლობისთვის საღანძღავ-საგინებელნი არ შევიქმნეთ. ვისაცა ეურხი სმუნად ასჩენ — ისინინ!

**ახალნი სხვალობელნი წმიდისა მოწამისა აბო თბილელისა.**

ისტორია გვამცნებს ჩვენ, რომ დაარსდებოდა თუ არა რომელიმე მხარეში ნაციონალური ეკლესია, მის გაუჩნდებოდენ ან ამ მხრის მკვიდრთაგან, ან ღ მასში დაძმობიზნებულ უცხო ტომთაგან, ნაციონალური წმიდანებიც. ამ მოვლენას ადგილი ქონდა საქართველოს ეკლესიამიდაც, რომელსაც ჯერ ვერც-კი გამოეცნეოთ თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ვერ მიეღო ნამდვილი ეროვნული ელფერი, რომ უკვე აღმოუბრწყინდა მთელი გუნდი ნაციონალურ წმინდანებისა. მაგრამ საკვირველია, რომ ჩვენი ეკლესიის უძველეს დროის ლიტურგიულ ნაშთებში, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ჩვენ ვიცით, ბევრ ამ წმინდანების ხსენებასაც ვერ ვხდებთ. მარტოაც, პალესტინაში პაპირუსზე ნაწერ საღვთისა წაულოში, რომელიც პროფესსორ ცაგარელს მიანიხია ჩვენი მწერლობის უძველეს ნაშთად, მოხსენებულია მხოლოდ წმიდა აბო; წმიდა მოციქულ იაკობის ეამის-წირვაში, რომელიც დაწერილია კათალიკოზის სიმონ პირველის დროს (867—878 წ.), მოხსენებულია: „წუ აბოა და... წ-ნი დედანი მენელსაქებელნი მიროჟორნი წ-ა ნინო“ (საეკლ. მუზ. № 86, გვ. 60). მიქელ მორავცილის საგალობელში, რომელიც დაწერილია მეათე საუკუნის დასასრულს, იხსენიება წმიდა აბო და კოსტანტინე ქართველი (22 ნოემბერს, † 853 წ.). ერთი სიტყვით, ჩვენი ეკლესიის უძველეს დროის ლიტურგიულ მწერლობაში, თუ წმიდა ნინოს არ მივიღებთ მხედველობაში, არ იხსენიება არც ერთი ამ წმიდათაგანი, რომელნიც წმიდა აბომის აღმოცენდენ ჩვენში. რა არის ამის მიზეზი? ყველა რომ არ ჩამოეთვალთ, წმიდა რაჟდენი, წმ. ნეოფიტე და წმ. ესტატე მტყუთელი ხომ აბოზე წინ და აბოსავით ეწამენ, — მაშ რატომ ამ უკანასკნელთან ამათ სახელებსაც არ ვკითხულობთ? მიზეზი ამისა, ჩვენის შეხედულებით, იმაშია, რომ სწორედ აბოს დრომდი ხსენებაც არ იყო ჩვენი ეროვნულ ლიტურგიულ მწერლობისა; იმ დროს ქართველ ლიტურღისტებს თავისებურობის გამოჩენის არც უნარი ქონდათ და არც მოშაზდება, — ისინი მხოლოდ იმ აზრით იყვნენ გამსქვალულნი, რომ რაც შეიძლება, ბეჯითად გაღმერთარგმნათ ბერძნულნიდან მაშინდელი საღვთის-

№ 13



მსახურო წიგნები, ამ უკანასკნელში კი, რასაკვირველია, ქართველი წმიდანები არ იქნებოდნენ. მეორე, მერვე საუკუნეში ქრისტიანულ აღმოსავლეთის სხვა-და-სხვა ერებთან დაახლოვებით გაცნობამ ჩვენს ეკლესიაში ვააღვიძა ძლიერი ნაციონალური თვით-შეგნება; ამ საუკუნეში ის უფრო მედგრათ იბრძვის ავტოკეფალიის მოპოებისათვის და ამ მხრით ანტიოქიის პატრიარქი თეოფილაქტეს დროს (745—751 წ.) მართლაც ისეთი ვაბედული ნაბიჯი გადადგა წინ, რომ შემდეგში მას უკან ვერ დახვდია ვერც მეთერთმეტე საუკუნეში (პატრიარქ პეტრე 3 დროს, 1053—1057 წ.) ატეხილმა ინტრიგანობამ და ვერც სხვა დროის ბევრგვარმა გაქივრებამ. მართალია, ის მერვე საუკუნემდისაც იბრძოდა ავტოკეფალიის მოპოებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა გამოიწვეული იყო უფრო პრაქტიკულ მოსახრებლად, მერვე საუკუნეში იწყება ბრძოლა ტერორტული, იდეური. ავტოკეფალურ, დამოუკიდებელ ეკლესიას თავისი ნაციონალური წმიდანებიც უნდა ყავდეს, ეს, მაშინდელი შეხედულებით, ერთი გამამართლებელი საბუთია მისი ავტოკეფალობისა. ესეთი ტენდენცია გამოშუქს, სხვათა შორის, წმ. აბოს თანამედროვე, მებგობრის და ბიოგრაფის შემდეგ სიტყვებშიაც: „რამეთუ არა ხოლო თუჯ ვებძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღუჯთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩუვენცა შორიელთა ამით მკვდრთა...—აჲ ესე რა ქართლისაცა მკვდრთა აქუჯს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთაჲმ თუთ აჲა მკვდრთა და რომელთაჲმ უჯცხოთა სხუთ მოსრულთა ჩუენცა შორის ეამად-ეამად მოწამიად გამოჩინებთა იესოჲს მიერ უჯვლისა ჩუენისა...“\*) აი, რომდესაც ასეთი ტენდენცია თან და თან ვრცელდებოდა და მასთან, ცოტად თუ ბევრად, ლიტერატურული თვით-მოქმედებაც ფეხს იკიდებდა, იქამა თბილისში წმიდა აბო, და გასაკვირველი არ არის, თუ იმისი სახელი იმ წამსვე იქნა აღბეჭდილი მაშინდელ ლიტურდიულ თუ აგიოლოგიურ ფოლიანტებზე. რაც შეეხება აბოზე უადრეს წმიდანებს, მათე საუკუნედან იმათაც გამოუჩნდათ თავიანთი შემსხმელნი: კათოლიკოზნი ბასილი, ნიკოლოზნი და განსაკუთრებით არსენი (X საუკ.) მტკიცე საფუძველს

უღებენ ამ წმიდა ეროვნულ საქმეს, რომელსაც შემდეგ აგრძელებენ იოანე მტბევაი, იოანე შავთელი, არსენი ბულმაისიძე და სხვა სასულიერო პიტიკოსნი, თუმცა დასრულებით ეს საქმე დასრულდა მეთვრამეტე საუკუნეში ანტონ კათალიკოზის ხელით.

ასე თუ ისე, ჩვენი ეროვნული ლიტურდიული მწერლობა იწყება წმიდა აბოდან; პირველ ეროვნულ ლიტურდიულ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს „ქება წმიდისა მოწამისა ჰამოხის“, რომელიც შეადგენს მეოთხე თავს იოანე საბანიძის მიერ აღწერილ აბოს ბიოგრაფიისას. აბოს საღიდებელად შეუთხზავთ მეტად მოხდენილი და მუხიკალური საგალობელი მეთე საუკუნეში ცნობილ იოანე მტბევარს და იოანე ქონქოზის ძეს,—ეს საგალობლები, საქირო შემთხვევაში სახელოვან იაბ ფიტარელის ექვს-თვენთან დაპირდაპირებულნი, დღეს უკვე თითქმის დაბეჭდილია.\*\*) დღეს ჩვენ ხელში გვაქვს წმ. აბოს ახალი საგალობლები, რომლებიც ჩვენ აღმოვაჩინეთ პალესტინაში ჰაბარუსზე დაწერილ ქართულ მანუსკრიპტში; ვინემ ამ საგალობლებს შევცებოდეთ, საქიროა იორილდე სიტყვა ვსთქვათ თვით ამ ხელნაწერზე, რომელიც დღეს პეტერბურლის საჯარო წიგნთ-საცეში ინახება (Собрание преосв. Порфирія № 11). ეს მანუსკრიპტი აწერილი აქვს პროფ. ცაგარელს (Свѣдѣнія вып. II), ამისთვის ჩვენ მეორედ აღარ გამოუდგებით იმის აწერას, აქ მხოლოდ აღენიშნეთ პატიცემულ პროფესორის შემცდარ აზრებს ამ ხელთნაწერის შესახებ. პირველად ყოვლისა, ის სახელწოდება, რომელიც ცაგარელი სდებს ამ ხელნაწერს, ვერ არის სრული და მართალი; მისი სიტყვით, ეს ხელნაწერი არის საღდესასწაულო თვენი (Свѣдѣнія вып. II), ნამდვილათ კი მასში თვენს გარდა მოთავსებულია მარხვანი და ზადიკი. ამ ნიარად, ამ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ერთად ერთი ნიშეში იმ წიგნისა, რომელიც სრულებით აკმაყოფილებდა ლიტურდიულ მოთხოვნილებას მერვე საუკუნემდე, ვინაიდან იმაში მოთავსებულთა ყველა ის დიდი წიგნები, რომლებიც აუცილებლად საქიროა ეკლესიაში სახმარებლად,—თენი, მარხვანი და ზადიკი; მართალია, ამ ხელ-

\*) წმიდა მოწამე აბო თბილელი თბილ. 1899 წ. გვ. 14.

\*\*) ibid. და „სუენჯე მეთე საუკუნას“ მ. ჯანაშვილის, გვ. 44-50.



ნაწერში არ არის ერთი უსაქიროესი ეხლანდელ ეკლესიისათვის წიგნი—პარაკლიტონი, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ მერვე საუკუნემდე, როდესაც ცხოვრობდა პარაკლიტონის ავტორი—იოანე დამასკელი, ღვთის მსახურება უპარაკლიტონოდ სრულდებოდა. მეორედ ჩვენ ვეთანხმებით ბ. ცაგარელს, როდესაც ის ამბობს, რომ ეს ხელნაწერი უნდა იყოს „*Еротиѣ всего VII вѣка, если еще не раньше*“; იმას რომ ქიქოდ გადაეთვლიერებია ეს ხელნაწერი, მაშინ არც ამას იტყობა და არც იმას, რომ „*Въ ней вовсе нѣтъ грузинскихъ святихъ*“, ვინაიდან იმაში არამც თუ იხსენიება ქართველი წმიდანი—აბო, მთელი საგალობლებიცაა მოყვანილი ამ წმიდანის სახელობაზე. ჩვენის შეხედულებით, თუ მივიღებთ მხედველობაში უკანასკნელ გარემოებას, ეს ხელნაწერი უნდა იყოს დაწერილი არა უადრეს მეცხრე საუკუნის მეორე ნახევრისა, თუმცა დედანი მისი უფრო ძველი უნდა იყოს; ეს ნათლად სჩანს როგორც მისი შინაარსიდან (სიმარტვე თვეისა და სიმოკლე მარხვისა; ეს უკანასკნელი იწყება ხორციელის კვირიაკედან, როგორც ეს იყო მერვე და

შეცხრე საუკუნებამდის), ისე ერთ მინაწერისაგან (119 ფურ. არშიაზე), რომელიც ცაგარელს სისრულით ვერ ამოუკითხავს: „ღმერთმან დაგაჯეროს ყველათა: შემინდეთ, ესე დასდებელი არა ამის ადგილისანი, ვარნა დეღანი ურეონი მქონდა“. ჩვენ ვფიქრობთ, ის აბოს დროზე უძველესი „ურვილი“ დედანი, რომელიც გადაწერს ხელთა ქონდა მან შეამსო წმიდა აბოს საგალობლებით.

რაც შეეხება ამ უკანასკნელ, ღღემდე უცნობ, საგალობლებს, ესენი, როგორც სწანს მათი ლიტურლიულ სიმარტვე და ულთათობისაგან, გაცილებით ძველია მიქელ მოდრეკილის კრებულში (წ.-ი. ს.პ. ხელნ. № 425) მოთავსებულ წმ. აბოს საგალობლებზე, თუმცა შეთხზვით ისინი შეთხზულნი უნდა იყვნენ მას შემდეგ, რაც წმ. აბოს ბიოგრაფია დაიწერა იოანე საბანიძის მიერ (ე. ი. 820 წლის შემდეგ), ვინაიდან მათ შედგენის დროს ავსტონს ბეჯითად და გულ-უხვად უსარგებლნია მოხსენებულ ბიოგრაფიით, ამის ჩვენ ნათლად დავგანახებებს შემდეგი შედარება:

**საკვლობლები.**

აბომ... „შური აიღო წმიდისა მოციქულისა პავლესი...“

«რაჟამს წარადგინეს იგი წინაშე მძღაფრისა მის აგარენისა, აიძულებდა მას და ეტყოდა...»

„მაშინ უბრძანა მძღაფრმან მან მოწოდება წმიდისა აბოასი და ეტყოდა მას: უკეთუ ესე ესრეთ არს აბოა, რასა ეგ შეეწამენ შენ...“ „მიუგო წმიდამან...“

აბოა და რქვა მას: შშობელნი ჩემნი თუ ისმიატელნი არიან, ხოლო მე მსახური ვარ ჰეშმარტისა ძისა ღვთისაჲ“.

„ხოლო მან სიხარულით მოუდრკია მახელსა ქელი თვისი...“ «არამედ განძარცვა სამოსელი, მოუდრკია მახელსა თავი თვისი...»

„ხოლო აბოა ლადღებდა და ეტყოდა: არა რაა მიხმს მე თქვენგან ქრთამი ოქროა, არცა ანთრაკი...; არცა ვეძიებ ცხოვრებასა ამის საწუთროისასა...“

**წმ. აბოს ბაგრაფია (შუკუეშის გამოცემა).**

„ხოლო ნეტარმა ჰაბოა... შუკრი საღმრთოა აიღო“. „შენ მიემსგავსე უკუკუნასკნელსა მას მოციქულსა პავლეს...“ (გვ. 19, 35.)

„მაშინ მოვიდეს მსახურისა მსაჯულისანი და შეიპყრეს ნეტარი ჰაბოა და შეიყვანეს წინაშე მსაჯულისა მის. და ჰრქვა მას მსაჯულმან: რაა არს, რომელი ესე მესმის შენთვის, რამეთუ ხარ შენ ნათესავთ და ტყემის სარკინოზ და ხატეცივერის მამული შჯუელი...“ ხოლო ნეტარი ჰაბოა განძლიერდა და ჰრქვა მსაჯულსა მას ამირასა...: ვარ მე ბუენებით სარკინოზ, შობილდე მას შინა მამულად და დედულად...; ხოლო... აწ შეუვლდე ჰეშმარტისა ქრისტესს მიერ მომადლებულსა“. «უფროას-ლა აღიგნეს ჰეურითა და შევიდეს წინაშე მძღაფრისა მის და ჰრქუეს...» (გვ. 24, 31).

«ხოლო ნეტარმან მან თავით თჳსით განხეტჳ სამოსელი იგი, რომელ ემოსა... და მოუდრკია ქელი თჳსი მახელსა“ (გვ. 30).

„ჰრქვა მას ნეტარმან ჰაბოა: ოქროა ღ ეცხლი შენი შენთანავე იყავნ... მე პატეცა კაცთგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქვს მე ნიქი ქრისტესს მიერ...“ (გვ. 25).



„მაშინ... გვიმი მისი დაწვეს ცეცხლითა...“  
 «შემომსა სამოსელი ღირსთა მამათაა საყვარელმან  
 ქრისტესმან აბოჲ, ურმითა მიაქენდა, ვითარცა ეტ-  
 ლითა, აღვიღსა მას შესაწირავსა... ცეცხლისაგან  
 შიიწირა და საფლავი მისი წყალთა ზედა...»

„და დაღვეს წმიდა იგი უკრემსა ზედა...“  
 და მოიღეს შეშა და თივა და ნეთი და დასხეს  
 გუკამსა მას ზედა წმიდასა და დაავხნეს ცეცხლი,  
 ვიდრემდის დაწვეუნეს კორცნი იგი წმიდასა მოწა-  
 მისანი...“ და იქმნა წყალი იგი მღინარისაჲ მის  
 წმიდათა მათ ძუკულითა სამოსელ... და სიღრმე იგი  
 წყალთა საფლავ წმიდისა მის მარტვილისა...“  
 (გვ. 31-32).

დამ. კ. ბიბელიქ.



კავკასიის ნამოსტნიის საბაზო სხდომა.

16 ივლისს, საშუაღვეის მესუთ საათსუ, კავკასის  
 ნამოსტნიის სსსხლესა, ნამოსტნიის გრაფ ი. ი. ვო-  
 რონტიე-დაშკოვის თაფჯდომარეობით მოხდა მის აშე-  
 რატორებითა უდაღებულსობის ნამოსტნიის სსპლეს  
 სხდომა.

სხდომას დაესწრნენ: კავკასიის ნამოსტნიის თან-  
 შემწეები გენ.-ლეიტ. ი. დ. შაღამა, ნ. ა. სულთან-  
 კრამ-გირეი და გენ.-მაიორი ე. ნ. შირინიანი, ტუფ.  
 სამოსამართლო შაღატის თაფჯდომარე ვ. რ. ზაფადსკი,  
 ნ. ი. ზირაბილი, ი. ვ. შინკევიჩი, შაწათ-შოქიელების  
 სამინისტროს რწმუნებული კავკასიაში ი. ს. შუღვეღევი,  
 ნ. თ. ჟუგოვსკი, ნ. დ. ჰეტერსონი, გენ.-მაიორი  
 ფან-ზარკუ, ტუფ. გუბერნატორის თანამდ. აღმასრულებე-  
 ე. ვ. აღიშკევი, შავა-ზღვის ზირა გუბერნიის შმართე-  
 ლი დ. ა. ბერეზნიკოვი, ნ. მ. მაქსიმოვი, წარმომადგე-  
 ნელი მართლმადიდებელ, სომეხ-გეროიანთა, შაიტთა  
 და სუნიტთა სამღვდელოებათა (4 კაცი), კავკასიის სა-  
 მოსწავლო ოღქის უფროსი შ. რ. ზაფადსკი, კავკასიის  
 საცნესურთ კომიტეტის უფროსი მ. შ. ჰაკკელი, საქ-  
 ციზო შმართელობის უფროსი დ. დ. ზერუქი, კავკასიის  
 სამხედრო ოღქის შთავარ შტაბის უფროსი გენ.-მაიორი  
 გიანზროვი, კავე. გზათ ოღქის უფროსი კ. ფ. რუბე-  
 დოვი, გ. ი. ბუნაიანი, ნ. ა. ჰეტროვი, ა. ბ. მიხაი-  
 დოვი, გ. ი. ზუღენიანი, ტუფ. გუბერნიის თავად აზნაურთა  
 წინამძღოლის თანამდ. აღმ. თავ. ა. ი. ჟამაკურიან-  
 თრგულიანი, ქუთ. გუბერ. თავად-აზნაურთა წინამძღოლი  
 თავ. ს. დ. წერეთელი, თავ. ს. გ. წერეთელი, შ. ი.  
 შაფლოტარევი, შ. ნ. ვესელიოვსოვი, ა. ი. გურსკი,  
 თავ. დ. გ. ჟანდარი, დ. შ. შუღენიანი, ვ. ა. სტრო-  
 სელსკი, ნ. ტ. ტომოვიევი, ტუფ. ქაჯიანი შორავის  
 შთადიელი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, კავკასიის სამეურ.

ნი სოზოგადობის წარმომადგენელი ი. თ. იოსელიანი,  
 ვ. ი. რხილაძე და ა. ს. ფორალოვი, წარმომადგენელი  
 კავკ. ბურღიელ სოზოგადობისა, წარმომადგენელი  
 კავკ. სავთერათო სოზოგადობისა და ტუნსიურ სოზო-  
 გადობის კავკ. განყოფილების ვოგელ დღაურ განეთე-  
 ბის რედაქტორები— კავკ. „ისა ა. თ. ბუღინსკი, ჩხოვ-  
 თობორ. ა. ს. ა. ი. ქაღანთაროვი, (ტოფელ. ლისტოვა)-სა,  
 ს. კ. მიხაილოვი, რხიბის ფურცლისა“— კ. ვ. ჟაბადარი,  
 (ივერთისა) ფ. გ. გოცინაიშვილი, შ. შ. შა-ისა ა. ა.  
 ქაღანთარი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, თავ. შ. გ. თუმანოვი,  
 თავ. ს. რ. გახვინაიშვილი, თავ. ვ. ს. შაქელაძე, ა. ზულ-  
 გდროვი, ა. შ. ბანქტევი, ბ. ნ. ზასაროვი, ა. ი. ს-  
 ავოვი, ნ. ნ. ტარბიოვი, ვ. ვ. სტრატონოვი.

ზარკისის გადახმადე ექსარსისის შთადიელემ  
 ეხისკობისმა ექეთემემ შაქმართა ხელშეიფის შთადიელეს  
 სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა დღემინიშენლოფანება  
 ერთბის შემოღებისა, რომლის საჭიროებას სხლს დღი  
 ხნათა ჰგროსობს.

შემდეგ გადაიხდა ზარკისისა და უსურავ შრავლ-  
 ვამიერ სიტვისლე ერთბის შთადიელემ.

ზარკისის შემდეგ დამსწრები მიიწვიეს სარკის  
 დარბაზში საღაც დაწოთ კრება.

სხდომის განხილვისათავე კავკასიის ნამოსტნიის გრ.  
 ი. ი. ვორონტიე-დაშკოვმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელ-  
 შიაც აღნიშნა, რომ განზარსული ამიერ-კავკასიაში სავ-  
 რობო დაწესებულებათა შემოღება, ფრად დღი და  
 საჭირო რეფორმაო.

ვიცით, რომ არან ზოგაერთნი, რომელთა ზირნი-  
 ცინაღური შეხედულება ეწინაღმდეგება ამსაცაო, შირამ  
 მიუხედავად ამის ფთხვ ეგელას მიუხედავად შმართუ-  
 რების არამც თუ არ შუემლონ ხელი ამ განზარსულ  
 რეფორმის შემოღებას ზირებით დაჯეშმარნ და ეყოფი  
 თავის გულებს და ძალა მოახმაროს ამის განხორციელე-



ბას. „მე იმედი მაქვს ან დაიშურებთ თქვენს გავლენას, თქვენს მხნეობას მივმართავ თქვენს მოვალეობათა გრძნობას; დარწმუნებული ვარ მთელის თქვენის ძალდებითა და სულთ მიადებთ მისაწაღებას კანსსარგებელეზად ამპრატორის სურვალისა კავკასიაში კრობის შემოღების შესახებ“.

**სიღნაღის მაზრის სამღვდლოების კამბა.**

17 ივლისს სოფ. ბოდბის ხეივნი მოხდა სიღნაღის მაზრის სამღვდლოების კრება. კრებას ვარეშე ხალხი დაესწრო, რომელიც მიწვეული იყო თვით სამღვდლოების მიერ. სამღვდლოებამ წარუდგინა ხალხს საქართველო სკოლების მიერ შემუშავებული პეტიცია და სთხოვა თავისი აზრი გამოეთქვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის და საეკლესიო ამოღების დაბრუნების შესახებ. — მოსწონს და უფრთხვება თუ არა ხალხი ამ სამღვდლოების მოთხოვნებს. განმარტა კამბით, რომლის დროსაც საერო პირთა ორატორნი უმოქმედობას აბრალებდნენ სამღვდლოებს, რომ მას აქამომდე არაფერი გააკეთებია და რომ ეხლანდელი მისი მოძრაობა შედეგია ხალხის მოძრაობისა სამღვდლოების წინააღმდეგ და შიში შიმშილისა, რომელსაც მოცილის სამღვდლოება ხალხის მოძრაობის შემდეგ, რომ სამღვდლოების პეტიცია და ავტოკეფალია არავითარ სარგებლობას ხალხს არ მოუტანს და არავითარ დახმარებას არ გაუწევს ხალხს მის მოთხოვნებთანა აღსრულებაში. ზემოც მამღვდლოებამ შესაფერი პასუხი მისცა; ვანუშარტა, რომ ეკლესიას შეადგენს არა მარტო სამღვდლოება, არამედ მთელი ხალხი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია შეეხება არა მარტო სამღვდლოებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, რომ ავტოკეფალის მოთხოვნა არის ნაწილი იმ მოთხოვნათა, რომელიც წარმოადგინა ხალხმა, მაინც სრული შეთანხმება არ მოხდა და ამ ლაპარაკმა თითქმის ცული გავლენა იქონია დამსწრე პრებზედ, შეტადრე გლზე-კაცობაზედ.

მეორე საკითხი ადგილობრივ ბლაღოჩინთა მოქმედებას შეეხებოდა. როგორც გამოიკვია, ზოგიერთა ბლაღოჩინებს, წინააღმდეგ თავისი განცხადებისა, განუგრძობით თანამდებობის აღსრულება: აუღიით ტფილისიდან გავზაენილი ქალღლები და

სხვ. კრებამ საყვედური გამოუცხადა ბლაღოჩინებს და წინადადება მისცა თანამდებობისათვის თავი დანებებინათ და დააწესა სამაზრო სამპო, ოთხის მღვდლისაგან შემდგარი, თითო მღვდელი საბლაღოჩინოდან, რომელმაც უნდა განავლო ყოველივე საქმე. შემდეგ კრებამ გაიხსენა საქართველო კრების დადგენილება ყველა სასულიერო სასწავლებლის დაკეტვის შესახებ და პირობა დასდო, ვინაიდან ყველა სასულიერო სასწავლებელი დაკეტულად ითვლება არავინ გავზაენს ამ სასწავლებლებში შვილები.

ერთმა გაუგებარმა ამბავმა იჩინა თავი. კრებაზე ერთიოხვს ტფილისის ბლაღოჩინის მ. შოშივის წერილი 3 ივლისს მიწერილი სიღნაღის ბლაღოჩინთან მ. ბეგიაშვილთან, რომელშიაც დახლოვებით სწერს შემდეგს: „დამაფილეს გაცნობით, რადგანაც 31 მაისს მომხდარ ამბავის გამოძიება უკვე დასრულდა; და დამნაშავენი დასჯილ იქმნენ, ამისათვის ჩვენ, ტფილისის ბლაღოჩინები, შეუდგებით თანამდებობის აღსრულებას, თქვენც ასევე მოაქეით, შეატყობინეთ სხვა ბლაღოჩინებსაც, ამ წერილის შემდეგ სიქალის მაზრის ბლაღოჩინები შესდგომიან თანამდებობის აღსრულებას. მიუხედავად ამ წერილისა მ. შოშივი კი 10 ივლისს ვაზ. „ივერია“-ში წინააღმდეგ წინა დღის ვაზთების-მიერ გამოაცხადებისა,—ვითომც მ. შოშივი პირა მთავრობისათვის განეცხადებინოს, რომ, რადგან 31 მაისს მომხდარ ამბავის გამოძიება უკვე დასრულდა, საქართველოს ეპარქიის ბლაღოჩინები შეუდგენენ თანამდებობის აღსრულებასაო, აცხადებს, რომ მას მთავრობისათვის არაფერი ამისთანა არ უცნობებია და არ შეეძლო ეცნობებინა, რადგან იგი დათხოვილია ბლაღოჩინიდან. სწორედ უცნაურია ამისთანა სხვა და სხვაგან და საქირა მ. შოშიაშვილისაგან განმარტება. (ც. ფ.)

**მზრუნველის კომისიისაგან უმადენილი სახალხო სკოლის პროგრამა**

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განსაკუთრებული კომისია მოიწვია, რომელსაც დავალებული ჰქონდა სახალხო სკოლისთვის პროგრამის შემუშავება. ამ კომისიის სულ ხუთი სხდომა ჰქონია.

კომისიის აზრად დაუსახავს ისეთ სასწავლებლის-თვის შეედგინათ გეგმა, რომელიც შეძლებისდაგვარად დააკაყოფილებდა ხალხის მოთხოვნილებას და თანაგრძობასაც დაიმსახურებდა. სასწავლებლის მიზანი, კომისიის აზრით, უნდა იყოს ის, რაც გამოთქმულია 1898 წ. 26 მაისს სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ აზრში, სახელდობრ, სასწავლებელმა ხალხის მოზარდ თაობას უნდა მიავლიოს ცხოვრებისთვის საჭირო ცნობები, აღზარდოს იგი და განამტკიცოს სარწმუნოებასა და ზნეობაში. ამიტომ კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ სახალხო სასწავლებელში ასწავლიდნენ სამართო სჯულს, დედა-ენას, რუსულ ენას და არითმეტიკას.

სამართო სჯულისა და არითმეტიკის საჭიროება სასწავლებელში, კომისიის აზრით, ყოველსავე ქვეყნარეშეა და მათ უმოკლესას აღარავითარი დამტკიცება არ სჭირიაო. ამჟამად საეკლდ გამხდარი არის მხოლოდ ის კითხვა, თუ რა ადგილი უნდა დაეთმოს სახალხო სასწავლებელში დედა-ენას და სახელმწიფო ენასაც. დედა-ენის საჭიროებას ყველა საუკეთესო რუსი და ევროპელი და პედაგოგი ამტკიცებს, —ყველა ამბობს, რომ სწავლა უნდა იწყებოდეს დედა-ენაზე, რომ დედა-ენა სხვა საგნების შესწავლასაც საფუძვლად უნდა დაედოსო, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლა ხელს შეუშლის ბავშვის ბუნებრივ განვითარებას; ამის გარდა, ადგილობრივი ხალხი ეტანება სამშობლო ენას და მას სავალდებულოად სთვლისო სასწავლებელში. ხალხი ზურგს უქცევს ისეთ სასწავლებელს, სადა დედა-ენა სწავლების საფუძვლად არ არის შემოღებული. დედა-ენის საჭიროებას სასწავლებელში აღიარებს თვით 1881 წ. 13 იანვარს დამტკიცებული სახალხო სკოლის პროგრამაც. რომლის ძალითაც სახალხო სკოლაში დედა-ენის საშუალებით უნდა ასწავლიდნენ ყველა საგანს.

რაც შეეხება რუსულ ენას, —კომისიის აზრით, იგი, როგორც სახელმწიფო ენა, სავალდებულო საგნად უნდა იყოს შემოღებულიო. ყოველ ფეხის გადადგამზე ვგრძნობთ სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებასაო.

ამის მიხედვით, კომისიამ შეიმუშავა სახალხო სკოლის პროგრამა, რომელიც აქვე მოყვანილია. სხდომის დროს ერთმა წევრმა განაცხადა, რომ ეს საქმე დიდ-მნიშვნელოვანი არისო, რომ მისი ორ-სამ

დღეში დასრულება არ შეიძლებაო, ამის გარდა, საჭიროა საზოგადოების და პრესის მხრივაც მოვიწვიოთო წევრები საქმეში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ეს წინადადება კომისიამ არ შეიწყნარა.

**I განყოფილება.**

საუბარი სამშობლო ენაზე იმ საგნის შესახებ, რომლებსაც ბავშვები ხედევენ თავისს გარემო, და ერთის მხრივ გაეცნობა იმ მასალისა, რომელიც მოთავსებულია სამშობლო ენაზე დაწერილ პირველ-დაწყებით წიგნში.

ხატვა უბრალო სახე-ფიგურებისა.

თვლა ჩხირების, კოჭებისა და სხვა საგანთა—ათამდე.

ასეთი მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე ერთისთვის განმავლობაში, ხილულ საგანთა ჩვენებით, ხოლო, უკიდურესს შემთხვევაში, სურათების დახმარებით. ერთისთვის შემდეგ უნდა დაიწყოს სამშობლო ანბანის სწავლება—ხმად და-ყოფის მეთოდით. ასეთი სწავლება უნდა დასრულდეს სამოსწავლო წლის პირველ ნახევარმდე, ამ დროის განმავლობაში ბავშვებმა უნდა შეისწავლონ სამშობლო ენაზე თავისუფლად წერა-კითხვა სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში უნდა გაგრძელდეს აღსნიით კითხვა იმ წერილებისა, რომელიც პირველ დაწყებით წიგნშია მოთავსებული.

ამავე ერთისთვის განმავლობაში შეეხებმა უნდა შეისწავლონ ათამდის ციფრების დაწერა და სიტყვიერისა თუ ზებრის ამოცანების გამოცნობა, დათვლა წალმა და უკულმა ასამდე და პირველ ორის ათეულის, ე. ი. ოცამდე—გამოცანების ახსნა-განმარტება სამშობლო ენაზე.

პირველის წლის განმავლობაში მოწაფეები სურათების შემწეობით შეიველდ უნდა იქმნენ სამდეო ისტორიების მოთხრობას. უნდა იცოდნენ: შექმნა ქვეყნისა, კაცთა პიუჯელი შესკოლება, აღთქმა მაცხოვრისა და ათ-თორმეტი უქმენი. აგრეთვე უნდა იცოდნენ უღუბრეველსად საჭირო ლოცვები. ხოლო მოწაფე-მუსულმანებმა პირველის წლის განმავლობაში მასწავლებლის ზებირა-განმაცემით უნდა შეისწავლინ მოთხრობები სამართო ისტორიიდან: შექმნა ქვეყნისა, ისტორია ადამსა და ევაზე, ნოეზე, აბრამზე, დავითზე, მოისესზე და იესო ქრისტეზე. უნდა იცოდნენ აგრეთვე სწავლის დაწყებისა და მის გათავებისა წასაკითხი ლოცვები.

(შემდეგი აქება)





### თვალსაჩინო ნაბიჯი

ადგილი იგი რუსულ ვახუშტებში დაბეჭდილია შემდეგნაირად: „საყურადღებო განცხადება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა: „მის იმპერატორებით უდიდებულესობის ნამესტნიკმა კავკასიაში გენ. ადიუტ. გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვმა განიხილა და მოაწონა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენება იმის შესახებ, რომ: 1) ზარველ დაწვებით სახალხო სკოლებში სწავლება მოაწყვათ და ენა-ქანაჲ სწავლობაჲს და 2) სასაფლო სკოლებში, სადაც ეს მოსახერხებელი იქნება, დაარსდეს სასკოლო საბჭოები, რომელთა წევრებად უნდა იყვნენ სოფლის საზოგადოებათა და მოსწავლეთა შრომლებისაგან არჩეულნი პირნი, სამღვათ სჯულთის მასწავლებელი და სკოლის ზედამხედველი“.

მაშასადამე, სამოსწავლო ბიუროკრატიაში გაზბედა ლ. ძლიერ-ძლივობით ერთი ნაბიჯი წინ გადადგა! როგორც იქნა, აღსრულდა ამდენის ხნის მოთხოვნა, ამდენის ხნის ღალადი და ჩივილი. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენში სკოლა აღარ არსებობდა, იმის არსებობა მოისპო მას შემდეგ, რაც სკოლას საგნად დაუსახეს მკვიდრთა გარუსება, ძალით გადაგდება; ჰქვდა მთელი ადგილი დაუთმო პოლიტიკას და სკოლა მოკვდა. შედგავოგის თეორიას შეურყეველად აღიარებული აქვს პრინციპი, რომ ბავშვის პირველდაწყებითი სწავლება მინც უთუოდ დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვის გონება უაზრო და შეუფერებელ შრომისაგან ჩლუნგდება. მაგრამ მეცნიერთა თეორიებსა ლ. ჰედაგოგთა გამოცდილებას არაფერობი მნიშვნელობა არა აქვს იქ, სადაც ხალხის განათლებაზე-ი არ ზრუნავენ, არამედ წინააღმდეგ დასახულ-განზრახული პოლიტიკური მიზანი აქვთ, რომლის აღსრულება, სხვათა შორის, სკოლისათვისაც დაუკისრებიათ...

ქართულ სახალხო სკოლის სვე-ბედის ისტორიკოსი, ბ. ლ. ბოცვაძე, მოწმობს,\*) რომ მე-70 წლების დასაწყისში, როცა მრავლად დაარსდა სერო-განათლებლის სამინისტროს სახალხო სკოლები ჩვენში, სოფლებებმა აავსეს სკოლები; ბევრგან ადგილი აღარ იყო და მრავალი ბავშვი სკოლის გარედ დაჩრავა; ხალხი ღიდის ხალისითა და იმედით

მიეგება სკოლებს და უკანასკნელ გროშებსაც ზოგავდა მათ დაარსებისა და შენახვისათვის. მაგრამ ეს „ოქროს ხანა“ მალე გავიდა; ხალხი მალე დარწმუნდა, რომ ამ სკოლებიდან ხეირი არ გამოვა, რადგან ბავშვებმა ვერც ქართული, ვერც რუსული ვერ ისწავლეს. სკოლები დაკადიერდა, ხალხი აღარ იმეტებდა ფულს და ბევრგან ყრილობებში დაადგინეს კიდევ, დაიხუროს სკოლები...

ასეთი სამწუხარო მოვლენა ადვილად აიხსნება ზემოხსენებულ გარემოებით: სკოლა პოლიტიკის იარაღად გახადეს; ხოლო, რადგან პოლიტიკის დევიზი იყო ქართველთა გარუსება, აპიტომ სკოლასაც ეს საქმე დაევალა, რისთვისაც სკოლის პროგრამას საფუძვლად დაედო 1874 წლის 25 მაისის დებულების მე-4 მუხლი, რომელიც ამბობს: „პირველდაწყებითი სახალხო სკოლებში სწავლება რუსულს ენაზე სწარმოებს“. 1880 წელს ეს წესი კავკასიაში ცოლათი შეიცვალა, რადგან პირველდაწყებით სკოლაში პირველ წელს ენა დაითეს ქართულ ენის ხმარებასა სწავლას დროს, მაგრამ მალე ეს განკარგულებაც მივიწყებულ იქნა და სკოლა ისევ ძველ წესს დაუბრუნდა; სკოლებში ინიშნებოდა ადგილობრივ ენების არა მცოდნე მასწავლებლები, სახელმძღვანელოებიც განზრახ-გადამახინჯებული შენობებში და სხვა-და-სხვა. ნაყოფს ყველა კარგად ჰხედავს: ამ სკოლისა არავის არაფერი სწავს—არც ხალხს, არც მოწვევით, არც მასწავლებელთ და აი წელს, როცა განმანათლებელთა მიმართა დაიწყო, ხალხმა ხმა აღიმართა სახალხო სკოლის წინააღმდეგ და მასწავლებლებიც გაიფიცნენ...

ცოცხალი უკეთესი მდგომარეობაში იყო ჩვენში საეკლესიო-სამრევლო სკოლა. რადგან ეს სკოლა არ ექვემდებარებოდა საერო განათლების სამინისტროს უწყებას, იქ სწავლება ქართულ ენაზე იყო რამდენსამე წელს, მუნჯურ მეთოდის სახელმძღვანელოებიც არ იყო მიღებული. მაგრამ მე-90 წლების დასასრულიდან, როცა სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობის სათავეში ცნობილი ვოსტარგოვი ჩააყენეს, ამ სკოლების სვე-ბედიც უკუღმა დაბრუნდა: ამათაც დააკისრეს ხალხის გარუსების საქმე და ამრიგად დაუკარგეს სწავლა-განათლების გამაყრცელებელ დაწესებულებათა მნიშვნელობა...

ასეთ უნაწილო მდგომარეობას, როგორც სხანს, მალე ბოლო უნდა მოეღოს. მინისტრთა კომიტეტის

\*) იხ. მისი წერილი ამ სვანზე „რახსეკეტ“ № 108.



დადგენილებით, თანახმად გასულ წლის 12 დეკემბრის უმაღლესის ბრძანებისა, არა რუსთა შეღავათი უნდა მიენიჭოს, სხვათა შორის, სწავლა-განათლების საქმეშიაც. ამ დღეებში გამოცხადდა კიდევ, რომ ბალტიის მხარესა და აღმოსავლეთ განაპირა ქვეყნებში შემოღებულ იქნას დედა-ენაზე სწავლება. ამის თანახმად გამოცხადდა, აღმათ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ზემოხსენებული განკარგულებაც... თუ ეს გამართლდა, სახალხო სკოლა, უმეკველია, მოიგებს და თვალსაჩინო ნაბიჯს გადადგამს წინ. პოლიტიკანობა ადვილს დაუთმობს საღს პედაგოგისა და საკლა ნამდილ სამსახურს გაღწევის ხალხს, — ისეთ სკამახურს, როგორსაც უწევს იგი ეს რიჟ, სადაც ცხოვრება ნორმალურად სწარმოგებს, სადაც სკოლა მხოლოდ თავის პირდაპირ დანიშნულებას ასრულებს და არა ბიუროკრატიულ დაწესებულების ცუდათ გაგებულ და ცუდათ განზრახულ საქმეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოთ აქვე, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია იმ დიდ საქმეში, რომელსაც ეწოდება საერთო განათლების საქმის რეორგანიზაცია. გზლა წყრიმალ შეკეთების დრო წვიდა; ცხოვრება აღარ იცდის და დაიწინებთ თხოულობს, რომ მთელი სისტემა იყოს შეცვლილი; უნდა შეიცვალოს საშუალო და მაღალ სასწავლებელთა სისტემაც. მართლაც ამ ყამად დიდი მუშაობაა ამ მხრით, — მუშაობა მთელის წარსულის გარდაქმნისაკენ. მიმართული; ეს მუშაობა ნაყოფიერი მაშინ იქნება, რასაკვირველია, თუ რუსეთის ცხოვრების ყველა მხარეს ეღირსება განზრახული რეფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ამაოდ ჩაივლის... კერძოდ ჩვენთვის, მთელი მომავალი რეფორმა სწავლა განათლების საქმეში, უნდა დაგვირგინდეს ეროვნულ სკოლის (დაბალისა ტ საშუალოსი მიანც პირველ ხანებში) დაწესებით. (ც. ფ.)

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად სამხედრო სამინისტრომ განიზრახა: 1) დედის ერთას, რომელსაც შრომის ამტანი მამა ჰყავს, მიენიჭოს პირველ ხარისხის შეღავათი კიარა, არამედ მეორე ხარისხისა. 2) როდესაც შეღავათი ოჯახურის მდგომარეობისა გამო ეძლევა, გაწვეულის წლოვანება უნდა იანგარიშებოდეს იმ წლის პირველ იანვრამდის, რომელიც დადგება მის მოწვევის შემდეგ. 3) ოჯახის წევრებიდან გამორიცხულ არ უნდა იყოს ის მამაკაცი, რომელიც ჯერ ნ წლისა არ არის, რომელსაც ჯანმრთელობა და შრომის უნარი დაუკარგავს, მაგრამ იმდენი კი შეუძლია, რომ რაიმე ხელოებით თავისი ოჯახი აცხოვროს. 4) შესაშე ხარისხის შეღავათი მიეცეთ მხოლოდ იმ გაწვეულთ, რომლებიც გამოწვეულ იქნებიან მეორე წელიწად მძის გასაღდათების შემდეგ და ისიც მაშინ, თუ ეს მმა ომში ან ომში მიღებულ ჭრილობათაგან მოკვდა, ან უკვლოდ დიკარგა. ამას თანავე განზრახული იყო პირველ ხარისხის შეღავათი ოჯახურ მდგომარეობისა გამო მინიჭებოდა ქვერის შეიღებთან მამაკაცს.

სამხედრო სამინისტროს ეს განკარგულებანი განიხილა სახელმწიფო საბჭომ, ოჯახურ გარემოებათა გამო შეღავათების შესახებ ძველებურ წესებისადატოვება მოისურვა, მხოლოდ სამხედრო ტ შინაგან საქმეთა მინისტრებს დაავალა შეიმიუშონ: 1) სასტიკი ზომები ჯარში გაწვეულთა ვასასინჯავად და სამაზრო სამხედრო საკრებულოს უფროსებს ნება მიეცეთ პროტესტი განაცხადონ ხოლომე შეღავათ მიეცემა შესახებ, ისე კი, რომ ეს მისი პროტესტი უსათუოდ განხილულ იქნას საგუბერნიო სამხედრო საკრებულოსაგან, და 2) შეადგინონ განსაკუთრებული სათადარიგო რაზმი, რომლითაც უნდა შეიცოს ხოლომე არ-გამოცხადებულთა და ავადმყოფობის მიზეზით განთავისუფლებულთაგან გამოწვეული ჯარის დანაკლისი.

**ჯარში განაწმევათა შეღავათიანი.** **მხელა კარგია, რაღა!**

სამხედრო სამინისტრომ დიდი ყურადღება მიაქცია იმ შეღავათებს, რომელსაც აწ უსახებულო წესდება ჯარში ვასაწვევთ ანიჭებს. ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, რომ ყოველ წელიწადს ჯარში გაწვეულთა თითქმის 50 პროცენტი თავისუფლდება.

ნეტავი ვიცოდეთ, კარგი ნიშანი თუ ცუდი, რომ რუსეთში სხვადასხვა მაღალ-მაღალ თანამდებობის პირები ახლანდელ დამარცხებას ერომანების აბრალებენ, თითქო ამითი თავის გამართლება უნდათო. მგონია კი, რომ კარგი ნიშანი უნდა იყოს.

როგორც ეტყობა,—გრძობენ, რომ მათი საქმე არ არის კარგად, გრძობენ თავიანთ სიკოტრეს და ემწინათ,—ვთუ ხალხმა ანგარიში მოგვეკითხოს და დავგვარალოს მოტყუილება, სიყალბე, ყოველგვარი ბიროტკოქმედაობა.

„ყველაფერში კუროპატკინი არის დამნაშავეო“.  
—„არა, კუროპატკინი კი არა, ვიტტეს ბრალია“.  
—„არა, ვიტტე მართალია, დამნაშავეა ბეზობრაზოვი და ბალაშოვი“.—არა, აბაზას უნდა მოიეკითხოსო ყველაფერი“.

ბ. გუსიევიმა გაზეთებში კორეის შესახებ კონცესიების ისტორია დაბეჭდა... ამ წერილებიდან სჩანს, რომ ვიტტე კონცესიების წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ ბეზობრაზოვმა, ბალაშოვმა, კუროპატკინმა და სხვებმა მიანიც თავისი გაიტანეს, გაიმარჯვესო.

მაგრამ მეორე გაზეთმა 1903 წ. «საფინანსო ურუნალში» გამოანახა თვით ვიტტეს მოხსენება, სადაც იგი სწერს: «ისტორიაში საუკუნოებები—წელიწადების მაგიერობას ეწვევა და ამ მხრივ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გაყვანით შესრულდა დიდი საქმე, და საისტორიო მიზანიც მიღწეულია. ამითი უკანასკნელი ნაბიჯი გადასდგა რუსეთმა შორეულ-აღმოსავლეთში და იქაურ ზღვაში ნავთსადგურიც მოიწყვა“.

სტენიც საკმარისია ბ. გუსიევის ვასამტყუნებლად.

იგივე ავტორი მეორე გაზეთში ამტკიცებს და ირწმუნება, რომ ყველაფერში კუროპატკინია დამნაშავეო, კუროპატკინმა საშემდრო საქმე არ იცისო სრულეობით. მის აზრად არ მოსვლია, რომ შეიძლება დამარცხება. კუროპატკინს რომ გაეფრთხილებინა მთავრობა, ბეზობრაზოვი და კომპანია შეზინდებოდნენ და არ დაიწყებოდა ომი იაპონიასთან.

რა გულ-უბრყვილობაა! „შეზინდებოდნენო“! განა ამით რუსეთის რამე უბედურება შეაშინებდათ! განა აშინებს ამით კიშინევის, ბაქოს, კურსკის, ჟიტომირის, პეტერბურგის, ვარშავის, ივანოვოზნენსკისა და სხვადასხვა საშინელი ამბები? განა სიტყვები „ჰკა სტუდენტებსო“, „ჰკა ინტელიგენტსო“, „ჰკა მუშებსო“—არ გაისმის რუსეთში? განა 3,000 დატუსაღებულ კაცის სია ტყუილი მოგონებაა? განა მთელ რუსეთში არ არის არეულობა? განა ამითგან

დაწყებული შინაური ომი რუსეთ-იაპონიის ომზე უარსი არ არის?

კარგი იქნებოდა ბეზობრაზოვის პასუხის-გებაში მიკვბა, მაგრამ განა ბეზობრაზოვი სხვებზე მეტად დამნაშავეა? მანუჯირის ტყვეები მოისურვავო! მაგრამ ეს ტყვეები სხვებსაც რომ არ მოსწონებოდათ, მაშინ ხომ ბეზობრაზოვი მარტოკა ვერაფერს ვერ გაარიგებდა. მიილო რამოდენიმე მილიონო! მაგრამ სხვებსაც ხომ ემიულიათ? ვინ ააშენა მანუჯირის რკინის გზა? ვინ ააგო ციხე-სიმაგრეები და ნავთსადგურები? ვინ მოაწყვა მოსატყუებლად სამასხარო გემები?


რუსეთ-იაპონიის ომის მიზეზად იალუზე კონცესიების დასახელება იგვევა, როგორც დათრობის მიზეზად უკანასკნელ ქიქა ლენის ჩაგდება—«ამდენი ბოთლი ლენინო დავლიე და ამ უკანასკნელმა ქიქამ მომტყვაო»!..

ბეზობრაზოვის მოღვაწეობა შორეულ-აღმოსავლეთის საქმეში მხოლოდ უკანასკნელი ქიქა იყო. რუსეთის პოლიტიკა შორეულ-აღმოსავლეთში—ავანტიურისტობის, გაძარცვისა და თავის საკუთარ ერისა ან სხვა სახელმწიფოების არაფრად ჩაგდება იყო. ამნაირ პოლიტიკას, აღრე იქნებოდა თუ გვიან, ომიანობა მოჰყვებოდა უთუოდ.

ომიანობამ ვერ შეაშინა რუსეთის ბიუროკრატია, გარეშე ომს მან ადვილად მიუმატა შინაური ომიანობაც; იაპონიისაგან დამარცხებული შინ იმარჯვებდა ადვილად.

არა, სანამ ომიანობა არ დაიწყებოდა, არ ვიცნობდით ბიუროკრატისა? მხოლოდ ახლა, ამ უკანასკნელის წლის განმავლობაში მან თავი იჩინა,—გაზეთების ყოველი ნომერი საბრალმდებლო ოქმია მის წინააღმდეგ. მაგრამ ამ ბრალდებაზე არ ტყულება,—უარესს ჩადის...

მაშ რაღა საჭიროა ხან ერთს და ხან მეორესი დასახელება! „აი, ეს არის დამნაშავეო, ამას მოკითხეთო, ჩვენ არ ვიცით-რა ამ საქმეში“?!. ყველა კარგია, რაღა,—ერთმანეთზე უკეთესია!.. (6.). (აივრია“).



### რ ა ზ ე ლ ი უ ტ ი ა

გორას სასულიერო სასწავლებლის ოქჯის სამღვდლო-ობის დეპუტატთა კრებისა 27 ივნისს 1905 წ.

რადგან გორის სასულიერო სასწავლებლის თითქმის მთელმა საზოგადოებამ გადაჭრით გამოთქვა სურვილი იქონიოს სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის ნაცვლად საზოგადო ტიპის სასწავლებლები, რადგან ახლანდელი ჩვენი სასულიერო სასწავლებლები არ შეეფერებოდა ახლანდელ დროს მოთხოვნილებას და სამღვდლოების შვილები პატარაობიდანვე წინასწარ-განმზადებულნი ხდებიან სასულიერო თანამდებობათა დასაქვრად და სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ ვერ არიან მომზადებულნი სხვა მოქმედებისათვის ანუ სხვა სასწავლებლებში შესასვლელად და ამის გამო იძულებულნი ხდებიან დაიჭირონ სამღვდლო-საეკკლესიო მსახურთა ადგილები, თუნდაც არავითარი ამისადმი მოწოდება არ ჰქონდეთ,—ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერთ გორის სასწავლებლის ოქჯის სამღვდლოების დებუტატებს, პასუხად გორის სასულიერო სასწავლებლის მთავრობის მიერ მოცემულ წინადადებისა, გვკონდა მსჯელობა ხსენებულ სასწავლებლის საჭიროებათა შესახებ დაავადინეთ:

1. სასულიერო სასწავლებელი შეცვლილ იქმნას საზოგადო ტიპის სასწავლებლად საგნების სიმშობლო ენაზე სწავლებით, ამასთან როგორც მოეწიოს სწავლები რუსულის ენისა (როგორც საგნისა), რუსულ ლიტერატურისა და რუსულ ისტორიისა—რუსულ ენაზე; 2. სამღვდლო ადგილებისათვის კანდიდატების მოსამზადებლად დაარსებულ იქმნას ვანსაკუთრებული საღთის ნეტყველო ორწლიანი კურსები, რომელზედაც უნდა მიღებულ იქმნას ისინი, ვისაც საშუალო სასწავლებელი აქვთ გათავებული; ყველა საღთის-მეტყველო საგნები უნდა სწავლებოდეს სამშობლო ენაზე; 3. გორის სასულიერო სასწავლებლი, რადგან იქიდან დათხოვნილ იქმნა მოწაფეთა დიდი უმრავლესობა, დაბურულად არიციებოდეს და სამღვდლოება და ეკკლესიები, შეწყუბებულნი ამ მათთვის ნაცლებ სასარგებლო სასწავლებლის სასარგებლოდ გადასახადებით, ითვლებოდნენ თავისუფლად ამ გადასახადებისაგან;

გაგრძელდეს მხოლოდ ძლევა იმდენ გადასახადისა, რამდენიც ისტუმრებს სასწავლებლის შერობისათვის უწ. სინოდისაგან აღებულ ვალს და ამ შერობის შესახებ ხარჯს; 4. ნამდვილი ამა რეზოლიუციისა გაგზავნოს ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კოლორას და პირები ეპარქიის ეპისკოპოსებს და გორის სასულიერო სასწავლებლის მთავრობას.

### მ შ რ ნ ა ლ - გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

აიზონამ სახალისს სახელა გამოუცვალა. გაზეთები იუწყებიან, რომ აიზონის ისე ეშურება სახალისის დაპყრობა და ისე დარწმუნებულია იგი თავის გამარჯვებაში, რომ სახალისს ძველებური აიზონური სახელი, კაბოფუტო, უწოდებდა.

რუსეთა ახალ გემების შეგებას. პატერბურგიდან ინგლისურ გაზეთ „გლობეს“ ატყობინებენ: ზღვათა სამინისტრომ გადასწყვიტა, უცხოეთის ვერფებში შეუკვეთოს 80 მსუბუქი კრესიტი, თითო 1400 ტონის წყალწყვით, 10 ნაღმოსანი, 35 (?) ტონის წყალთაწყვით, და ორი ფოლად-გადაკრული კრესიერი (ბაიანი-ს ტიპისა. ეს გემები ამ მოკლე ხანში უნდა დაამზადონ და რუსეთში მოიტანონ.

როგორც გამოირკვა, საფრანგეთის მოქალაქეთა გადაუფიქრიათ, რომ სტესელს საპატიო ხმალი მიართვეს.

ზაფის აშება. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ აიზონელები ზავის პირობების დაფარვას ეურჩებიან. მათ სურთ ყველაფერი საჯაროდ იყოს გამოცხადებული.

ჩინეთი პრეტენზიის აცხადებს, რომ ზაფე თათბირის შედეგი უსათუოდ მეც უნდა მიცნობოთ ხოლმე, განსაკუთრებით, რაც ჩინეთის მიწა-წყალსა და მის სევერენიტეტს შეეხებოა, აიზონა აცხადებს, რომ ზავის თათბირზე ჩინეთის წარმომადგენელის დასწრება სულ მეტია, რადგან მანჯურიის და კორეის საქმეს, როგორც ვიკისრეთ, ბოლომდისაც მივიყვანოთ.

როგორც ვიცით, მურავიოვის ნაცვლად რუსეთის მთავრობამ მთავარ-წარმომადგენლობა ვიტტეს მიანილა. ამის გამო ინგლისური გაზეთი „დელი ტელეგრაფი“ სწერს: „ზავის საქმეს მტკიცე და საქმის მკონდე კაცი ესაჭიროება. რამდენდაც ვი-



ციო, სწორედ ამისთანა კაცია ვიტტე. იგი უკეთ იცნობს რუსეთს, ვიდრე რომელიმე სხვა რუსი თუ უცხოელი. ვიტტე ალღოიანი კაცია და ადვილად გარწობს, რუსეთის ხიფათი სიიდან მოკლის. იაპონიის გამარჯვება და ამ ქვეშაირების აღიარება სასულიადაც არ არცხვენს რუსეთს: ფლოტის დაკარგვა, რუსეთის მესღვაურთა თავგანწირულმა მამაკობამ და გმირულმა სიკვდილმა გამოისყიდა. რუსეთი თავის დაღუპულ შვილთა ჰგლოვობდა, მაგრამ საბუთი არა ჰქონდა მათ გამო გაწითლებულიყო. რუსეთის საღარო შიოს მარანიითი უღუველია, იგი ჯერ აქამდე არ გამოფეხვია, რომ ზავის ჩამოგდება მოითხოვოს რუსეთმა. ვიტტესაც კარგად ესმის, რომ რუსეთისთვის ზავის ჩამოგდება იმისთვის კი არ არის საჭირო, რომ ძალა და სახსარი აღარ შესწევს, არამედ მისთვის, რომ რუსეთის ძლიერების შემუსვრა-დამცირებამ ეგროპაში განწყობილება არიგ-დარია. ყველა სახელმწიფო ნატრობს იხილოს რუსეთი განახლებული, ძლიერი, მდიდარი და ძველებურად გავლენიანი მთელს მსოფლიო პოლიტიკაზე. ჩვენ გვწამს, რომ რწმუნებულთა შეხვედრას, ზავის ჩამოგდება მალე მოჰყვება და მთელი ქვეყანა გაოცდება იმ მოთხოვნელებით, რასაც იაპონია წამოაყენებს.\*

**სახლანას ზღება.** იაპონელებმა აიღეს თუ არა სახალინი, მაშინვე სახელი გამოუტყალეს და ყველა ნავთსაყუდარსა, ყურესა, სრუტესა და მთებს წინანდელი სახელები დაარქვეს. იმ ყურეს; სადაც შარშან იაპონიის კრესერმა „ჩიტოზუკი“ რუსეთის კრესერი (ნოვიკია) ჩახსიარა, იაპონელებმა გენ. ფუშიმას ყურე დაარქვეს. ორ კონცხს დაარქვეს გონდო და იუზო: ორივენი ჰუბლიცისტები იყვნენ და განუწყვეტლოვ თხოულობდნენ სახალინის დაბრუნებას (რ. ვ.)

„ინდ. ბელეს“ ტოკიოდან დებუთი ატყობინებენ: რუსებმა კორსაკოვის სიმარგებეიდან იაპონიის ფლოტს ზარბაზანი დაუშინეს. იაპონელებმაკ პასუხი გასცეს, რამდენიმე წუთის შემდეგ რუსები ჩააწუმენ და ქალაქ ცეხლი წაუკიდეს. ირველიე ყველაფერი იწოლა. ალი ცას სწვდებოდა, პაერი ხელებული იყო. იაპონელებმა ამას ყურადღება არ მოაქციეს და სწორედ იმ ადგილას გადასახეს ჯარი, სადაც ცეხლი ყველაზე მეტად იყო გაძლიერებული. ამომავალ მზის ქვეყნის შვი-

ლები ჰირდაპირ ფორტებს ეცნენ, რუსები გარეკეს და რამდენიმე ზარბაზანი, ტუკიის მფრქვეველი, მრავალი სხვა იარაღი და სურსათი აიღეს. კორსაკოვის მცხოვრებნი და სალდათები ყოველ მხრივ გაბოლდნენ. იაპონელები უკან მისდევდნენ და ერთ დღეში 40 ვერსის მანძილზე სდიეს რუსებს. (რ. ს.)

**იაპონიას ჯარას ფორმა.** იაპონიის მთავრობას ვადაუწყებტა, ვთავებდა თუ არა ომი, ჯარს ფორმა გამოუტყვალოს. გვარდიასა, ცხენოსანსა და საზოგადოდ ყველა დარგის სალდათებსა და აფიცრებს ეტყეუთ მიწის ფერი და სულ უბრალო ტანისამოსი. აფიცრის ტანისამოსი სალდათის ტანისამოსისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ აფიცრის მხარზე ჩვეულებრივი ნიშანი ექნება. ამის გამო ინგლისური ვახეთი „ტიამისა“ შენიშნავს: იმ დროს, როცა ევროპიელები მილიონობით ხარჯავდნენ აფიცრებისა და გვარდიის ბრწყინვალე ტანისამოსზე და სალდათებს ტოკიენებით ალამაზებდნენ, იაპონია „განათლებლის ბუდეს“—ვეროპას უსწრობს და ჯარიმ დემოკრატიული პრინციპები შეაქვს“ (რ. ს.)

**ახალი ამბები და შენიშვნები.**

\* გლვებთა მოძრაობამ ხელახლა იჩინა თავი. კავკასიის ნამესტნიკი, როგორც ვახეთები გადმოგეცემენ, გენერლები გაგზავნა ქართლსა და კახეთში გლვებთან მოსალაპარაკებლად და იმის ვასაგებთ, სად რომელი მემამულე დაზარალდა. ქართლში გაგზავნა გენერალ-ადიუტანტი ჰუკუვაძე. (ც. ფ.)

\* 1903 წელს უწმ. სინოდის მინდობილობით, დ. ი. ტიზომიროვმა მოახდინა რვეიხია საქართველოს საექსარხოოსის სასულიერო სასწავლებლისა. ამ სასწავლებელთა შესახებ რევიზორმა წარუდგინა ვრცელი მოხსენება სინოდს, რომელმაც შემდეგი განკარგულება მოახდინა: 1. უფროსებად და მასწავლებლებად საქართველოს სასწავლებლებში რუსები უნდა ინიშნებოდნენ; 2. ქართული ენის სწავლების დროს უმთავრეს ყურადღებას უნდა აქცეოდნენ საეკლესიო ქართულ ენას და ამ ხსიითის პროგრამაც უნდა შედგეს; 3. ქართულ ენის სწავ-

ლებდა რუსულს ენაზე უნდა სწარმოებდეს და 4. სამოწაფეო წიგნთ-საკაცებიდან უნდა განმეგებულ იქნას საერო შინაარსის ქართული წიგნები,—რომელთა მაგიერად მომავალში უნდა შეიძინდნენ სასულიერო შინაარსის წიგნებს. ახალი პროგრამა ჯერ არსად შეუდგენიათ. მხოლოდ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობას მოუხდენია განკარგულება საერო შინაარსის 120-მდე წიგნის გაძევების შესახებ სამოწაფეო წიგნთ-საკაციდან. ეს წიგნები ამ ორის წლის წინ ქართულ ენის მასწავლებლებმა გამოაწერინა სასწავლებლის გამგეობას ტფ. სასულიერო სემინარიის ნებართვით. სასულიერო სასწავლებლის სამოწაფეო წიგნთ-საკაცში დარჩა სულ ათობდე წიგნი სასულიერო შინაარსისა.

\* კავკასიის ნამესტინკმა დაავალა ადმინისტრაციის მოხელეებს, თავდა-აზნაურთა და გლეხთა წარმომადგენლებთან ერთად შეპკიბონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა ზარალი მოუყიდათ მემამულეებს წელს გლეხთა მოძრაობის გამო. როცა ზარალი გამოირკვევა, გადახდა მემამულეთა სასარგებლოდ გლეხობას დაეკისრება. ამის გამოკვევის საქმეს კიდევ შეუდგნენ. კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, სოცელ დილოში გაემგზავრნენ გენ.-ლიეტ. სახაროვიჩი, გენ.-ად. თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, მარზის უფროსი თავ. ჯანდიერი და სხვა თავ. ჭავჭავაძემ ხალხს გადასცა: სხვის საკუთრებას ნუ შეეხებით, თორემ ზარალს გადაიხდით; თუ გლებომა უმიწაწყლობით შევიწროვებულა, შეუძლიან ითხოვოს და თავის უფალი სახელმწიფო მიწები მიეცემათ. აგრეთვე თუ მოისურვებენ ადგილების შექმნას, ახლო მომავალში მთავრობა დახმარებას გაუწევს საგლეხო ბანკიდან სესხის იაფად მიცემითა და სხვა. დიდმელებს ამისთან გამოეცხადათ, რომ წელს მემამულეებს ერთს დესიატინა ადგილზე ნ მანეთი უნდა გადაუხადონ და აგრეთვე ზარალი 6000 მანეთი უსლონ.

\* მ ივლისი. ოფიციალურად. უმაღლესი ბრძანება უმართებელს სენატს. «სამხედრო ბეგრის დებულებათა მე-9 მუხლის (1897 წ. გამოცემული) ძალით, ჯარისა და ფლოტის შესასებ მეომართა რაოდენობა ყოველ წლივ კანონმდებლობის წესით განინახლდებოდა. ამის მიხედვით სამხედრო მინისტრის მიერ სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენილი მოსაზრება დაედაწიოყ და ამ წლის განმავლობაში სამ-

ხედრო სამსახურსა ჭ გამოსაწვევ პირთა რაოდენობა ამ დებულებას დაექვემდებარება საოკროლოთა სამხედრო ბეგრის დებულებათა თანახმად და გბრძანე: 1) სახელმწიფოს ყველა ადგილში, სადაც კი ძალია შია ეს დებულება, ამ მიზნინარე 1905 წელს, ჯარისა და ფლოტის შესასებად 475,246 კაცი უნდა გამოვიდეს; ამ რიცხვში ჩათვლილია ისინიც, ვინც კენჭის ამოდებისას რეკრუტის წინანდელ კვიტანციებს წარმოადგენს; 2) თერგის შტრის ოსებიდან გამოვიდეს 1000 კაცი, თანახმად 1900 წლის 10 ივლისს უმაღლესად დამტკიცებულ სამხედრო საბჭოს დადგენილების ოსეთის ცხენოსან დივიზიის შესახებ.

\* მის უდიდებულესობის კავკასიის ნამესტინკმა გრაფმა ი. ი. ვორონკოვ-დაშკოვმა განიხილა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მოხსენება და მოიწონა პირველ-დაწყებით სკოლებში როგორც სწავლის დედა-ენაზე შემოღება, ისე სოფლის პირველ-დაწყებით სკოლებში სკოლის საბჭოს ორგანიზაციის დაარსება. ორგანიზაციის წევრებთან უნდა იყვნენ სოფლის საზოგადოებთა და მოწაფეთა მშობლები-საგან ამორჩეულნი, საღმრთო-საჯულის მასწავლებელი და სკოლის ზედამხედველი; სკოლის საბჭოს ვალად ევაება, სკოლის მოწარმებზე იზრუნოს. —კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან შემდგარმა საბჭომ განიხილა მოწაფეთა მშობლების განცხადება მოწაფეთა მეთვალყურეობის, დასჯისა, ნიშნების გაუქმებისა და საზაფხულო ტანსაცმელის შესახებ და სასურველად სცნო. განთავისუფლდნენ ინსპექტორები სასწავლებლების გარე მოწაფეთა ყოფა-ქცევაზე საჯალდებულო მეთვალყურეობისაგან; არ მოეთხოვოს მოწაფეთ ზაფხულში ამა თუ იმ ტანისამოსისა და ქუდის ტარება; განთავისუფლდნენ მასწავლებელნი მოწაფეთა სადგომების საჯალდებულო დათვალერებისაგან, თუ ამას თვით მოწაფეთა მშობლები არ მოითხოვენ. წინადადება მიეცეს პედაგოგიურ საბჭოს აღიარებისათონ მოწაფეთა დატულეობას და სხვაგვარ დასჯას და იზრუნონ მოწაფეთა ზემობრივ განვითარებაზე; მიეცეს უფლება გინახიებისა და რეალურ სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოებს, გადასწყვიტონ არა ნაკლებ ორის მესამედის ზმის უმეტესობით, ყოველ დღე დაუსხან ზოლმე მოწაფეთ ნიშნები, თუ ნიშნები გამოიყვანონ სამ თვეში ერთხელ. სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ეს მოხსენება წარუდგინა ნამესტინკს დააფს



ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, რომელმაც მოიწონა იგი.

\* პეტერბურგის სასულიერო წოდების პირთ განუზრახავთ შეიმუშაონ ენკენისთვისთვის საკითხი სასულიერო კრების მოწვევის შესახებ. ამ დროისათვის პეტერბურგში მოელონ რუსეთის ყველა ეპარქიის სამღვდელთების წარმომადგენლებს და განზრახულ საკითხების ოფიციალურად ნებართვას (ნ.დ.)

\* მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ყველა სასოფლო სკოლაში ცირკულიარი გაუგზავნია და სასტიკად უკრძალავს მსწავლეებზე, რომ იმათ არათუ არაერთი საუბარი არ იქონიონ მოწვევებთან ეხლანდელ დროის შინაგან ცხოვრებისა და ომიანობის შესახებ, არამედ პასუხიც კი არ მისცენ მოწვევებს ამისთანა საგნების შესახებ აღბრუნებული კითხვებზე. (რ. ს.)

\* 9 ივლისს, კავკასიის ნამესტნიკმა თავისს სასახლეში ინახულა სურამისა, ხაშურისა და გომის საზოგადოებათა სოფლის წარმომადგენელნი, რიცხვით 30 კაცი საღილით გამასპინძლების შეზღვევით ნამესტნიკმა გამოუცხადა, რომ ისინი უსათუოდ პასუხს ავებენ იმ ზარალში, რომელიც შემოპულეთ მიაყენეს. რაც შეეხება შათის მღვდლობრძოლის გაუმჯობესებას, ნამესტნიკი დაპირდა, უმამულო გლეხებს შედევითან პირობებით სახელმწიფო მამულებს დაგიროვებთო და საკუთარ მიწის ნაქრების შესაძენად დადვიარებთ საგლებო ბანკსაო.

\* როგორც შევიტყვეთ, ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების გაოლქვა საბჭოს და ამავე სკოლის სამრევლო განყოფილებას აუქმებენ, რჩება ზოლოდ საეპარქიო საბჭო.

\* იაპონელების მიერ სახალინის აღება ყველაზე მეტად საპრობილეთა მთავარი სამმართველო დაფიქრა. მთელი რუსეთის საპრობილენი საფესვა, პატიმართა რიცხვი კი ყოველ დღე მატულობს. ციმბირის გზა ჯარის გადაყვანას უნდება, კატორგაში გასაგზავნი პატიმრები კი იმდენად გამარავლდნენ, რომ მთელი საპრობილეები იმათ უჭირავთ. საპრობილეთა მთავარმა სამართველომ გადასწყვიტა — აქ, რუსეთშივე დააარსოს კატორგები და ახალი საპრობილეებიც ააშენოს.

\* უცხოეთის ვაჭრებში დაბეჭდილია კორესპონდენცია, რომელშიც მოთხრობილია ლოდში მომხდარი უთანხმოება გენ. შატილოვისა და კახაკ-

თა აფიცრების შორის. აფიცრები სამხედრო სამართალში მიუცნაოთ.

\* კავკასიაში დაბეჭდილია მომავალ სამოსწავლო წლის დასწყისიდან განზრახულია, აღვილობრივ დაბალ სკოლებში ყველა საგნების სწავლება შემოიღონ სამშობლო ესე იგი ადგილობრივ ენებზე.

\* სასულიერო მთავრობას გადაუწყვეტია, სრულიად გააუქმოს საექსპარხოსოს სამრევლო საეკლესიო სკოლების საოლქო და სამაზრო საბჭოები. ამათ ნაკვალად სასკოლო საქმეებს, როგორც წინააღ, საეპარქიო სასწავლო საბჭო განაგებს. საოლქო და სამაზრო საბჭოები, როგორც მკითხველებს ესსომებათ, მღ. ვოსტორგოვმა შემოიღო. ყველა შეგნებულ პირი მიხვდებოდა, რომ ეს ასე იქნებოდა...

\* გაზეთ „რახვეტ“-ის მე-112 №-ში მოთავსებულია ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წერილი „ქართულ ენისა და თვით ქართველთა უფლებლობა სწავლის საქმეში კავკასიაში“. ამ ნომერში ორი თავია მოყვანილი წერილისა და, მასთანამე გაგრძელება მოჰყვება. წერილები ძალიან საყურადღებოა.

\* ტფილისის სათავადაწმინაურა სკოლის საზოგადოებისგან არჩეულმა კომისიამ, საზოგადო კრებაზე წაიკითხეს საგანგებო კომისიის განაჩენი მასწავლებელ კორხანიდის შესახებ. კომისიამ სრულიად უდანაშაულოდ იცნო კორხანიდი იმ ბრალდებისგან, რომელიც ბ-ნმა დუმბაძემ დასდო ერთ-ერთსხლომაზე. კომისიამ არ იცნო აგრეთვე ანტიპედაგოგიურ წიგნად კორხანიდის სახელმძღვანელო შედარებით ბ-ნ გოგებაშვილის სახელმძღვანელოსთან.

\* თელავში უნდა მომხდარიყო კახეთის სამღვდელთების კრება, სხვათა შორის, თელავის სასულიერო სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვის განახალირებულად. კრებაზე მიიწვიეს ზაქათალის მღვდლებიც. ამას წინაღ ზაქათალის ოლქის სამღვდელთების მოლაპარაკება ჰქონდა იმის გადასაწყვეტად, მიიღოს თუ არა კრებაში მონაწილეობა. კარგ ხანს თაობირის შემდეგ გადაუწყვეტია: რადგან ქართლ-კახეთის სამღვდელთების (კრებამ 28 აპრილიდან 30 მაისამდე) მანებლად სცნო სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში გამეფებული სწავლის რეჟიმი, გადასწყვიტა დაიხუროს ეს სასწავლებლები იმ დრო-

მდე, ხანამ სრულიად არ გადაკეთდება. ზაქათალის ოლქის სამოქალაქო ურთობებამ ამ გადაწყვეტილებებს და ამის გამო თვითნებური სასულიერო სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვის განსახილველად დანიშნულ კრებაზე მონაწილეობას არ მიიღებს.

\* \* ახალი ექსარხოზი საქართველოსი ნიკოლოზი, როგორც „კავ.“-ი გამომგვეცემს, აფგისტოს პირველ ნახევარში ჩამოვა ტფილისში. წინეთ იგი მსახურება ფინლიანდიაში.

\* \* 25 ივნისს აჯანყებულა მატროსები დალქ-სანდრე II-სა კრონშტადში ამ უმაღლ მორჩილებას აცხადებენ. იმათ გასცეს თავიანთ მხრიდან 16 მე-თაური, რომელნიც სამხედრო სპატიროში გაიგზავნენ. დაბრუნებულმა აფიცრებმა ხელმოკრედ მიაღებინეს ფიცი დამორჩილებულ მატროსებს. კრესერ „მინინ“-ზე აჯანყებულთა მდგომარეობა კი ჯერ-ჯერობით არ შეცვლილა. გვიმ ისევ ერთ ადგილსა დგას უტრავად, რადგან სხვა გემები ჩაძირვას უქადიან იმ წაშლად, როგორც კი ამ ადგილიდან დაძვრას დააპირებს, თუმცა კი მისი ამ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა შეუძლებელია, რადგან სურსათი და წყალი თანდათან ელევოა, სურს გაზეთი „რუს. ლისტ“-ი.

\* \* ვარშაიდან დღემით აღწობებენ გაზეთებს, რომ გერმანიის ჯარის 2 კორპუსი ჯერ კიდევ პრუსია პოლონეთის სასღავრზედა სდგას და არა შორდებაო. ამ ამბებმა ვარშავაში დიდი ეჭვი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია (რ. ს.).

\* \* როგორც გამოანგარიშებულია, ზავის დადების შემდეგ მარტო ტუვე რუსების გადმოყვანა იაპონიიდან რუსეთში ხაზინას 32 მილიონ მანეთად დაუჯდება. (ნ.).

\* \* ტაიმს“-ს ატყობინებენ: ვიტტეს რჩევით, საერო წარმომადგენელთა მოწვევა გადაიდო რამდენიმე თვით. კანონ-პროექტი გადაეცემა სახელმწიფო საბჭოს, რომელიც იმის განხილვას ორ თვეს მიანიც მოუხდება. (რ. ვ.).

\* \* პეტერბურგიდან „მატენ“-ს დღემით ატყობინებენ: ხმა დაღის, რომ პეტერბურგში ჩამოსულ სვიატოპოლ-კირსკის სახელმწიფო რჩევის თავმჯდომარედ დანიშნავენო.

\* \* სხვა-დასხვა კავშირთა წარმომადგენლებმა განიხილეს ბულოგინის პროექტი საერო წარმომადგენლობისა და დაადგინეს: პროექტის ძალით, ყვე-

ლა წოდებანი და კლასები—გარდა გლეხებისა—თავიანთ წარმომადგენლებს პირდაპირ კენჭის ყრით კი არ ირჩვენ, არამედ სამკეციით; გარდა ამისა, კენჭი მხოლოდ დიდ ქონების პატრონს ეძლევა. ამრიგად, პროექტის ძალით, გარდ რება აუარებელი სასოფლო და საქალაქო მუშა და მთელი ინტელიგენცია. გლეხებში შემოღებულ იქნება ოთხკეცი არჩევანი; ამასთან გლეხები მიღწენ ცოტა დეპუტატები ეყოლებათ, რომ მათს აზრსა და სურვილს არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ექნება საერო წარმომადგენლობაში. ესეც რომ არ იყოს, გლეხებშია დიდი ქონებრივი ცნზია დაწესებული და არჩევნების დროსაც გლეხები ისევ მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ იქნებიან, რასაც ის მოჰყვება, რომ არჩეულ იქნებიან მხოლოდ ისინი, ვინც მთავრობას უნდა. თვით სახელმწიფო რჩევისაც მხოლოდ რჩევის უფლება აქვს; იგარამ კანონ-პროექტების განხილვაც სხვა-დასხვა ტენიკურ ხრიკებით ისეთი შეზღუდულია, შეკრული და ისეთ ვიწრო ფარგალშია მოკეცილი, რომ საერო წარმომადგენლობას არ შეუძლია ხალხისთვის საკირო კანონები გამოაცემინოს მთავრობას. რჩევის ყველა დადგენილება და კანონი შეუძლიან შეანეროს და არ მიიღოს სახელმწიფო საბჭომ, ე. ი. საზოგადო დაწესებულებამ, რომელსაც სახელმწიფო რჩევაზე მგტი უფლებანი ეძლევა. ყველაზე საკვირველი და გაუგებარი ის არის, რომ ბიუროკრატია ხალხს არჩევნებისთვის მომზადების ნებას არ აძლევს: წინანდლებურად უშლის შეკრებას, ლაპარაკს, გავლენებში ამის შესახებ წერას, ავტოკიას, განზრახ ხელს უშლის ხალხში ცენზურის-მიერ ნებადართულ ეურნალ-გაზეთებსაც კი და საზოგადოდ ყოველნაირად ცდილობს, რომ ხალხში არ გავრცელდეს არავითარი ცოდნა საერო წარმომადგენლობისა და თვითმმართველობის მნიშვნელობის შესახებ. საგულისხმო ის არის, რომ, რაც უფრო ახლოვდება წარმომადგენელთა მოწვევის დღე, ბიუროკრატია უფრო და უფრო ხელს უჭერს საზოგადოებას ზ თავისუფლებას თან-და-თან ზღუდავს და ახშობს. ზემოდ გამოთქმულიდან ცხადათა სჩანს, რომ მომავალში სახელმწიფო რჩევა საერო წარმომადგენლობა კი არ იქნება, არამედ სახელმწიფო საბჭოს დასახმარებლად შექმნილი კომისია, რომელიც მთავრობის მიერვე იქნება არჩეული. მომავალში უზარუნველყოფილი





არ არის ხალხის სულ უბრალო უფლებანიც და დაცული არ არის მოქალაქისა და აკადემიის პიროვნება. მოხელეთა მიერ შედგენილია ყალბმა პროექტმა საბოლოოდ უნდა დაარწმუნოს რუსეთი, რომ ბიუროკრატია თავის ძალმომრეობაზე თავისისავე ნებით ხელს არ აიღებს. ხალხისა და ქვეყნის შეველა შეუძლიან მხოლოდ თავისუფალ ხალხის თავისუფალ წარმომადგენლობას (რ. ვ.).

\* საერობო დაწესებულებათ შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად 15 ივლისს კრება ჰქონდა ერთ ჯგუფს. დაესწრო 20 კაცზე მეტი. კრებას თათბირი ჰქონდა იმის შესახებ, დააკმაყოფილებს თუ არა მარტო ერობის შემოღება ხალხის დღევანდელ მოთხოვნილებას. კრების აზრით, თვითმმართველობა ერობის სახით ხალხს ვერ დააკმაყოფილებს იმ დრომდე, ვიდრე რადიკალურ-პოლიტიკური რეფორმები არ მოხდება. ამიტომ მთავრობამ უნდა მოიწვიოს კავკასიის ხალხის წარმომადგენელი, რომელთაც უნდა გამოსთქვან, თუ როგორი რეფორმები საჭიროა დღეს.

\* საქართველოს საექსპარზოსოის ბლოკინებმა, როგორც ვიცით, დროებით ხელი აიღეს თანამდებობის ასრულებასზე. ეხლა ბლოკინებებს გადაუწყვეტათ, აიღონ ხელი ბლოკინობაზე.

\* „კავ.“-ში დაბეჭდილია: ამ ჟამად კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია მზრისა და ოლქის უფროსებს უგზავნის ნამესტნიკის მოწოდებას, რომელიც დაბეჭდილია რუსულს, სომხურს ჭ თათრულს ენაზე და რომელითაც ნამესტნიკი იწვევს კავკასიის ერებს თავი გაანთავსონ ერთმანეთის მტრობასა და შეუდგნენ მშვიდობიან კრივრებას. მოწოდებანი ხალხში უნდა გავრცელდეს.

\* ნამესტნიკის ბრძანებით შეაჩერეს შიდა რუსეთიდან ჩვენს ქვეყანაში გლახების გადმოსახლება. 1 იანვრიდან გაუშვებენ იმ მოხელეების შტატს, რომელთაც რუსების დასახლების საქმე ჰქონდათ ჩაბარებული.

\* საქართველოს საექსპარზოსოს დროებითმა მმართველმა გზისკომოსმა ვეთიშემ (ელივიშმა) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიის წარმომადგენლად იმ კრებაზე, რომელიც კავკასიის ნამესტნიკის თავმჯდომარეობით მოხდა 16 ივლისს, ერობის შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად, დანიშნა საექსპარზოსოს სამრევლო სკოლების ოლქის ზედა-

მხედველი ოდოვეგი, ტომით რუსი. ოდოვეგი დეკანოზ ვოსტორგოვის შემდეგ ვანაგრძობს იმის საქმეს. სწორედ გასაკორგველია ეს აღჩევა, ნუ-თუ მთელს სამღვდელთაგანში ერთი სანდო პირი არ აღმოჩნდა?.. (ივერია).

\* ტფილისის პოლიციისტერად, კოვალოვის ნაცვლად, რომელიც სამსახურს თავს ანებებს, დაუნიშნავთ ტფილისის გუბერნიის ჟანდარმათა უფროსის თანაშემწე როტიმისტრი ცისი.

\* სოხუმის ეპისკოპოსის კათედრა ნაგროსისკში გადააქეთ. იქვე გადააქეთ ქუთაისში დახურული სემინარია. (გ. ვ.). უკეთესი არ იქნებოდა, რომ ეს კათედრა როსტოვში გადაეტანათ...

\* სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე ოდოვეგი რუსეთში გადაჰყავთ.

\* ფიქრობენ გააუქმონ ახლად დაწესებული ბაქო-ალექსანდროპოლის საეპისკოპოსო კათედრა რადგან ნიკანდრი რუსეთში გადაიყვანეს. (ტ. ლ.)

\* 21 ივლისს, ნაშუადღევს 3 საათზედ, ტფილისიდან ბორჩალოს მაზრის სოფელ ვორანტოვკაში წავიდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორანტოვ-დაშკოვი. ნამესტნიკი დაესწრება მალაკანთა საერთო კრებას 22 ივლისს.

\* ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი თავ. ჯამბაკურ ორბელიანი დანიშნა კორპუსის უფროსად ფინლიანდიაში.

\* დღემდე ტფილისის გიმნაზიებში სომხურენისა და სამღვთოსაგულს (სომხებისათვის) ორ-ორი გაკვეთილი იყო კვირაში. სამრევლო ოლქის მზრუნველს განაგრძებდა მოუხდენია, რომ ამიერიდან სამ-სამი გაკვეთილი იყოს.

\* როგორც ამბობენ, ქუთაისის გუბერნატორს სტაროელსკის აზრად აქვს, უმაღლესის მთავრობის ნებართვით, ქუთაისის გუბერნიის ყველა სოფელში დასტავოს ხალხის-მეორე არჩეული ათისა და ასის თავები.

\* 16 ივლისის, უმაღლესის ბრძანების თანახმად, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის მოადგილემ ნ. ა. რახმანინმა საყოველთაოდ გამოაცხადა, ყველა სათადარიგო ჯარის კაცი, რომლებიც რკინის გზებზე მსახურებენ, 23 ივლისიდან ჩაითვლებიან, როგორც სამხედრო სამსახურში გაწვეულნი, და თავ-თავიანთ ადგილებზე დაჩევიან ხოლო ვინც სამუშაოდ არ გამოცხადდება, სამხედრო მთავრობას გადაეცემაო.

\* კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია ატყობინებს გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს, რომ, კავკასიის მთავარ გამგეობის 1901 წ. 9 და 10 ნომერის ცირკულიარების თანახმად შეუღლიანთ მიწწერონ ქალაქებსა და სოფლებს, მხოლოდ ის გადამოსახლებულნი სომხები, რომლებიც 1901 წლის 1 თებერვლამდე არიან გადმოსახლებულნი. ხოლო ის სომხები, რომლებიც ამ ვადის შემდეგ გადმოსახლდნენ, 1903 წლის 26 მაისის კანონის ძალით, უნდა გაიგზავნონ ამგვარ გადმოსახლებულთათვის საგანგებოდ დანიშნულ გუბერნიეტში.

\* \* განსვენებულმა ბიტროპოლიტმა პალადიმ ექსახოსად მყოფობის დღეს 1890 წელს გამოიბნოვა ნება ეურნალის საქართველოს საექსარხოსოსი მოამბის დაარსებისა იმ პირობით, რომ ეს ეურნალი არც ერთი ღარიბი ეკლესიისათვის საფლადებულად არ გაეხდათ. ამასთან იმედი ჰქონდა, რომ ეს ეურნალი ყველასათვის სასიამოვნო საკითხი შეიქნებოდა. მაგრამ საზოგადოება ძლიერ მოტყუებული დარჩა. ამ წელიწადში ყოველ ეკლესიას ძალით გამოაწერინა კანტორამ, რასაკვირველია ვოსტორგოვის წინადადებით და სასიამოვნო საკითხავი სტატების მაგიერ ეურნალი გავსებულია ხოლმე საქართველოს ეკლესიის და საზღვდლოების საღანდავი სტატიებით. ვადათვლიერეთ სტატია ნიკანდრისა, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ ეურნალში რაც იბეჭდება მეთხელი მართალი არ არის. ამ ეურნალს ღვსს რედაქტორად არაიენ ყავს. ვოსტორგოვის ზედი კი რედაქტორად ყალბად იბეჭდება, თორემ იგი დიდი ხანია საქართველოდან წასულია. არსად ვაგონილა კაცს გლანძღადენ და ამ ღანძღვის დააბეჭდათ შენვე გახდვიენდენ ფულს!..

\* რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიეტში სამღვდლოებმა მოითხოვა სასულიერო სასწავლებლების სრულებით გადაკეთება, კონსისტორიების გაუქმება და მათ მთავრად სხვა გვარი სასამართლოების დაარსება, ეპისკოპოსების და სამღვდლო პირების აღიარებით დანიშვნა, ჯილდოების მიღების მოსპობა, ბლაღოჩინების თანამდებობის გაუქმება და სხვა მრავალი რამ ცელილებანი. მადლობა ღმერთს, რომ იქ შვეკრებელ მღვდლებს დეპუტატებს ყაზახები და პოლიციელები არ დარევიათ.

\* ზავზე მოლაპარაკება კიდევ დაიწყო პორტსმუტში, მაგრამ ჯერ მინც ისეთი არეული, ერთი

მეორის წინააღმდეგი ცნობები მოდის მოლაპარაკებაზე, რომ კაცს ვერა გაუგია-რა. ჯერ ისიც კი ვერ შეიტყუეს სწორედ, რა ნაირი რწმუნება აქვს ვიტტეს. „ნაშა ტუზ“-ი სწერს: ვიტტეს რწმუნება და იაპონიის პირობები ჯერ სრულ საიდუმლოებას შეადგენს პრესისათვის, მაგრამ ეს ორი საიდუმლოება ერთსა და იმავე დროს გამოცხადდება. ტელეგრაფმა გადმოგვცა ვიტტეს ცირკულიარული ნოტა პრესის წარმომადგენლებთან. ამ ნოტაში ვიტტე ამბობს: „მე მოველ აქ იმ პირობის გასაგებად, რომელსაც ჩვენი მამაცი მოპირდაპირე საფუძვლად დაუდებს საზო მოლაპარაკებასაო“. მაგრამ თუ ჩვენს რწმუნებულს მხოლოდ მოპირდაპირის პირობის გაგება აქვს დავალბებული და იმისი რწმუნება შორს არ მიდის, სავეჯოა, რომ ვიტტემ მინდობლ საქმის ასრულება მოახერხოს. რაკი დარწმუნდებიან, რომ რუსეთის წარმომადგენელს შეზღუდული რწმუნება ჰქონიაო, იაპონელებს შეუძლიანთ, როგორც წინააღმდეგ გამოაცხადეს, მოლაპარაკება შესწყვიტონ; მაშინ იაპონიის საზავო პირობა ისევ საიდუმლოდ დარჩება და ისევ მართო იაპონელებს ეცოდნებათ. მაგრამ არა გვერონია, რომ საქმე ასე უცადეს. მაშინ რაღა საქირო იყო მთელის ოკეანის გავლა მხოლოდ იმის გასაგებად, — რასაც იაპონელები იმ თავითვე არა ჰმალავდნენ, — რომ ზავზე მოლაპარაკებას იაპონიის რწმუნებულნი მხოლოდ ისეთ პირობან ვაპმართვენ, რომელსაც საქმარ რწმუნება აქვს მიცემული. ასე რომ იაპონიის პირობის გასაგებად ჩვენი რწმუნებული იძულებული იქნება არსებითად გაარჩიოს ეს პირობები. ცხადია, იაპონელები ჯერ რამდენსამე საზოგადო, პრინციპიალურ პირობას წარმოადგენს, მაგალითად, ჯერ მოითხოვენ, რომ რუსეთი სამხედრო საზღაურის გადახდას პრინციპიალურად დასთანხმდეს. საზღაურის რაოდენობა-კი მხოლოდ იმ რწმუნებულმა პირობის პირობის დასთანხმდება. თუ რუსეთი დასთანხმდება იმათ პრინციპიალურ მოთხოვნებს. თუ ვინცოებაა არ დასთანხმდება, მაშინ მოლაპარაკება უცება სწყდება ზ სხვა სახელმწიფოების თვალში ომის ვაგაძელების ზნეობრივი პასუხის გება რუსეთს დაეკისრება. ასევე მოიქცევიან, მაგალითად, მანჯურის საქმეშიაც. თუ ვიტტეს უმთავრესად ის აქვს მინდობილი, რომ მთელ ქვეყნიერობას იაპონიის პირობის უზომობა და უღირსობა დაუმტკიცოს და ამით რუსეთს ზნეობრივი სიმპატია მოუპოვოს, უნ-



და ესთქვათ, საქმე ისე მიდის, რომ იქნება ეს იმე-  
ლოც გატრუვდეს.

\* \* როგორც ვახუშტის იუწყებიან, ინგლისი  
ავჯისტოს აღმდევს ძლიერ ესკადრის ჰგზავნის ბალ-  
ტიის ზღვაში მანევრებისათვისაო. თუმცა ინგლისე-  
ლები ირწმუნებიან, ესკადრის ვაგზავნას არავითარი  
საიდუმლო არაი არა აქვსო, მაგრამ ბევრნი დარ-  
წმუნებულნი არიან, ინგლისის პოლიტიკურ დემონ-  
სტრაციის მოხდენა ჰქვსო რუსეთისა და იმის მე-  
გობარ გერმანიის წინააღმდეგაო.

ერთ მკოდნე რუს დიპლომატს უთქვამს: მალე  
რუსეთი და იაპონია ზავზე მოლაპარაკებას დაიწყე-  
ბენ. ინგლისი როგორც იაპონიის მოკავშირე, ძლიერ  
ესკადრის ჰგზავნის ბალტიის ზღვაში, ალბად, იმ  
აზრით, რომ იაპონიის მოთხოვნილებას მხარი დაუ-  
ჭიროს. ეს ესკადრა გერმანიის წინააღმდეგე-  
ტი არ, რუსეთის წინააღმდეგე იგზავნება. ამიტომაცაა, რომ  
ესკადრა სწორედ ზავზე მოლაპარაკების დროს იგ-  
ზავნება ბალტიის ზღვაშიო (ო. ნ.)

\* ინგლისურ ვახუშტის კორესპონდენტები  
ირწმუნებიან, რომ იაპონელები ვლადივოსტოკს ვა-  
ცილებით სუსტ ციხედა სთვლიან, ვიდრე პორტ-  
არტურისაო. იაპონელები დარწმუნებულნი არიან,  
რომ ვლადივოსტოკის აღება ნაკლებ მეცადინეობასა  
და მსხვერპლს მოითხოვსო. ვლადივოსტოკის ფორ-  
ტები გარშემო მდებარე გორაკებზეა აშენებული და  
კარგადაა შეიარაღებული, მაგრამ მიუდგომლები  
როდია და იაპონიის გემების შორს მსროლელი  
ზარბაზნები ცუდ დღეს დააყენებენ ამ ფორტებს.  
ვლადივოსტოკის პორტში თხელი წყალია. ზოგიერთ  
ფორტზე როგორც ირწმუნებიან, 10 დიუმიანი  
ზარბაზნები დგას დასაბრუნებლად. ალბად,  
„ბოგატრი“-იდან საუკეთესო ზარბაზნებს  
ხველეთზე გადაიტანდნენ და მკვიდრ სიპაჯრებზე  
დასდამენ, „როსია“-ზე 4 რვა დიუმიანი და 16  
ექვს დიუმიანი ზარბაზნაია, ამდენივეა (გრომოზიო)-  
ზეც, რომელზედაც ზარბაზნები კარგადაა დაფარუ-  
ლი 6 დიუმიანი ჯავშნით. ალბად, თავის დროზე,  
ისე როგორც პორტ-არტურთან, აქაც იაპონიის  
ნაღმიანი გემები დაეცემიან ვლადივოსტოკის პორტ-  
ში მდგომ რუსის გემებს და უფრო მეტი შანსი  
ქნებთ გამარჯვებისა, რადგან აქაურ პორტს რამ-  
დენიმე შესავალი აქვს და იაპონიის ნაღმოსნებს  
პორტში შეპარვა შეუძლიანთ (რ.).

\* \* რ. ს. „ში დაბეჭდილია დეკუმა ტფილი-  
სიდან, მომავალ სახალხო სკოლის შესახებ. ავტორის  
სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს  
გადაუწყვეტია საზოგადო რეფორმამდე სასკოლო  
საქმე თვითონ ხალხს ვადასცეს. ნაშეშენიკის მიერ  
დაბეჭდილ პროექტით, სოფლის საზოგადოებე-  
ბმა უნდა შეადგინონ სამზრუნველოები, რომელნიც  
აარჩევენ მასწავლებლებს და სწავლების მეთოდსა  
და ენას. ჯერ არ გადაუწყვეტილა საქმე სომეხთა  
საეკლესიო სკოლების შესახებ. ფაქობენ, სკო-  
ლები ისე ეკლესიების დაუბრუნონ და სასოფლო  
საქმის თვალყურის ქება სამოსწავლო ოლქს მიან-  
დონ. მაგრამ მზრუნველი წინააღმდეგია ამისა, რად-  
გან ასეთი და მერეთის სკოლები, სემინარიები და  
სასულიერო აკადემიები განათლების სამინისტროს  
არ ევქმედებრებიან და რაღა მართა სომხის საეკ-  
ლესიო სკოლები უნდა დაუქვემდებარონო. თავში  
დღებში ავტორის წყნის, რომ დიდი ელობაა ენის  
შესახებ; მეგრებისთვის, მაგ., ქართული ენა დედა  
ენა-კი არაა, მონათესავე ენააო. ავტორს, ალბა-  
დ უვიცობით, უნდა სთქვას, რომ სამეგრელოს სკო-  
ლებში ქართული ენა არ უნდა იყოსო.

\* \* ქუთაისის ახლად დანიშნული გუბერნატო-  
რის ა. სტაროსელსკი ჩერნიგოვის გუბერნიის აზნაუ-  
რია იგი ამ ქაბად 43 წლისაა, 1885 წელს დაამ-  
თავა პეტროვო-რისხუმიცკის სასოფლო-სამეურნეო  
აკადემია და იმ წელსვე დაინიშნა ჩერნომორსკის  
ოლქის აგრონომად, სადაც იგი უმთავრეს ყურად-  
ღებას აქცევდა მიწათ მფლობელობისა და რუსეთი-  
დან გადმოსახლებულთა საქმის შესწავლა გამოკლე-  
ვას. 1890 წელს დაინიშნა ქუთაისის გუბერნიაში  
აგრონომად და მას აქეთ 15 წელიწადი იქა მუშაობს.  
ამ ხუთიშვიტ წლის განმავლობაში ბ. სტაროსელსკიმ  
ზედ მიწვევით შესწავლა დასავლეთ საქართველოს  
მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა და ზენე-  
ჩეულეობა. ბან სტაროსელსკის მოღვაწეობა გამოი-  
ხატა მევენახეობისა და მეღვინეობის აღორძინებით.  
ამ 10-12 წლის წინად ჩვენ მიწის მუშას და მემე-  
ბულეს შიშის ზარი დასცა ვენახის მტერმა ფილოქ-  
სერამ, რომელმაც გაანადგურა თითქმის უმეტესი  
ნაწილი იმერეთის ვენახებისა. ყოველგვარმა საშუ-  
ალეობამ, რაც მთავრობამ იღონა ფილოქსერის წი-  
ნააღმდეგ, ამაოდ ჩაიარა. ბოლოს, 1892 წელს მთავ-  
რობამ მოიწვია, ევროპის საუკეთესო სპეციალისტ-



მეცნიერი და სხვა ადგილობრივ გამორეკეთ, თუ საშუალებით შეიძლება ფილოქსერის წინა-აღმდეგ ბრძოლა და მევენახეობის განსაცდელისაგან ხსნა. მეცნიერთა კომისიამ ბნ სტაროსელსკისთან ერთად დათვლიერა ზემო იმერეთის ვენახები, გაიცნა ადგილობრივ მევენახეობის სისტემა და შემდეგ აღინაშნა პეტერბურგში მთავრობას, რომ ამიერ-კავკასიის მევენახეობა უნდა გამოესაღმოს წუთისოფელსაო. ვეროპაში ერთადერთ საშუალებად ფილოქსერასთან საბრძოლველად შემოღებულია ამერიკულ ვაზზე დაამყნილი ვაზი, რაც შეუძლებელია ადგილობრივ მცხოვრებთათვის და რაც დიდ ხარჯს გამოიწვევს. უფრო სასარგებლო იქნება ქართველებშიწვევის ვენახის მაგერ ქაშენია (помешка) გაავაშენონა და სხვა. კომისიის აზრს წინააღმდეგ ბ-ნი სტაროსელსკი და აღუთქვა მთავრობას, რომ ქართველები სულ მოკლე ხანში შეითვისებენ იმას, რაც სპეციალისტ-მეცნიერთ შეუძლიათ მიაწინათო. პეტერბურგის მთავრობა ბოლოს დარწმუნდა, რომ ბ-ნი სტაროსელსკი მართალი იყო.

ამ ათი წლის წინად რუსეთში ერთ ძირს ამერიკულ ვაზზე დაამყნილ ვაზს ვერ იშოვნდით, დღეს კი მარტო ქუთაისის გუბერნიაში რამდენიმე ათას ქცევაზეა გაშენებული. ბნ სტაროსელსკის მოღვაწეობამ დიდი დახმარება გაუწია წეროლ მემამულე მუშას, რომელმაც ზედ მიწვენით შეითვისა რაციონალური მევენახეობა, რაც შედეგია ბნ სტაროსელსკის ზრამისა მის არა ეთხელ დაუპირა მთავრობამ უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა, მაგრამ იგი უარზე იდგა და არ უნდოდა დაწყებულ საქმისთვის თავი დაენებებინა.

ბ-ნი სტაროსელსკი შესაძენე მონაწილეობას იღებდა სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურაშიაც. მას აქვს შედგენილი რამდენიმე წიგნი მევენახეობის შესახებ; ზრამის ქართულადაც არის გამოთარგმნილი. მისი სტატისტიკური გამოკვლევა შორაპნის მაზრისა (თითოეულ კომლობით) დიდს აღავს დაიქერს ჩვენის სასოფლო მეურნეობის სტატისტიკაში. ბ-ნი სტაროსელსკი მონაწილეობას იღებდა სხვა-და-სხვა სასოფლო სამეურნეო კრებაზე, როგორც მკოდნე და დამცველი და სხვა. ბ-ნი სტაროსელსკი ამ ორი წლის წინად ქუთაისის სასოფლო სამეურნეო კომიტეტში იცავდა ერობის შემოღებისა, მუნჯურ მეთოდის გაუქმებისა და ქართული ენის შე-

მოღების საქმეს. ბ-ნმა სტაროსელსკიმ დაიტოვა უფლება, თუ მოისურვებს, ექვსი თვის განმავლობაში ისევე თავის ძველ ადგილზე დაბრუნდეს.

\* \* \* გრაფ ლ. ტოლსტოის და იოანე კრონშტატელს იურიევის უნივერსიტეტის საპატიო წევრებად ირჩევდნენ პროფესორის შმურდის წინააღმდეგით. ამ დროს ლეთისმეტყველების პროფესორს ცარეკვის წაუკითხავს უწმ. სინოდის დადგენილება, ტოლსტოის, როგორც მართლმადიდებელ ეკლესიიდან განდევნილს, ამ სარწმუნოების მოქალაქეთა წრეში ყოფნის უფლება აქვს ჩამორთმეული და, მასადაამე, ღირსი არ არის უნივერსიტეტის საპატიო წევრობისაო. ეს პროტესტი უყურადღებოდ დაუტოვებიათ და აღრწევით როგორც ტოლსტოი, ისე მღ. კრონშტატელი რომესაც მღვდელს საპატიო წევრობის დიპლომი გაუზავნეს, მას უკანვე დაუბრუნებია და ღვთის მეტყველების პროფესორისთვის შემდეგი წერილი მიუწერია: «მიკვირს, პროფესორების სულმოკლეობა და მონური თავყენისცემა ტოლსტოისადმი, ამ ქრისტეს გამოცდველ იუდასადმი. ვმადლობ უნივერსიტეტს პატივისცემისთვის, მაგრამ ურწმუნო პირთან ერთად ამ წოდებისა ტარება არ მსურსა. (რ. ვ.).»

\* \* \* პორტ-სმუტიდან იტყობინებინ დებეშით. იმ შენობას, საცა რწმუნებულთ სხდომა აქვთ, ბეჯითად ჰყარაულობენ, რათა დაცულ იქმნას მოლაპარაკების საიდუმლოება, როცა რწმუნებულები მოვიდნენ, მათ საზღვაო სამინისტროს შენობაში საუზმე გაუმართეს, რომელსაც საზღვაო აფიცრები თავიანთ ცოლებით და სხვებიც დაესწრენ. შემდეგ რწმუნებულნი საგრაფოს სასამართლოს შენობაში წვიდნენ, საცა მათ გუბერნატორი შეხვდა პიუგემშირის შტატის სახელით და იმედვ გამოსტქვა, რომ მოლაპარაკება გათავდება პორტ-სმუტის ტრაქტატით, რომლის პირობები ორივე ერის კურთხევა და კოკობრიობას საკეთილდღეო იქნებაო.

\* \* \* ქუთაისის ახალი გუბერნატორ ბ-ნი ვ. ა. სტაროსელსკი ყვირილიდან წაბრძანდება 31 ივლის ქუთაისს. პირველ აგვისტოს ჩაიბარებს გუბერნიის ყვირილის საზოგადოებას სურს დიდის პატივისცემით გაისტუმროს ბ-ნი სტაროსელსკი.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნებობას.

მემა უფლისა ჩვენი  
ინსო ქრისტესი.\*

გალგოთის გზა.

აი ჩვენი წინ დგას უღანაშაუროდ ტანჯული, რომელსაც მიუსაჯეს სიკვდილი და რომელიც მიდის ახლა ადგილსა სასჯელისასა. გაჰყვით ჩვენც მას ჩვენი გონების მხედველობით, რომ დავინახოთ ჯვარის გზა—გზა ჩვენი გამოსხნის ადგილის მიყვანული. როგორი არა ჩვეულებრივი და საშინელი მოგზაურობაა! ის, ვის სიტყვებსაც აღტაცებით ისმენდა მთელი გალილია, ვისაც ასე ემოაჩილებოდა სიტქონთა ძაღლები, ვინც ბრძემს, ეშმაკეული ჰქურნავდა, ვინც მკვდრებს აღდგენდა, ვისაც რამდენიმე დღის წინათ მიეგებენ, როგორც მეფეს, როგორც დავითის შთამომავალს, ახლა მადის იერუსალიმის ქუჩებში ორ ავაზაკს შუა და მანეთ გადებულ ჯვარის სიმძიმით ფეხები ეკეცება. იმას მისდევდა ხალხის აურაცხელი სიმრავლე, რომელიც შეკრებილიყო იერუსალიმში პასეკის დღესასწაულზე და ანაირათ უნებლიეთ გახდა მოწამე იმ განცილებისა და სასჯელისა, რომელიც მიაყენეს გალილეველ დიდ მოძღვარს. მაგრამ, აი ხალხი შეჩერდა. წინა დღისა და დამის საქმეებით სრულიად ღონე მიხდილი მაცხოვარი ვეღარ უძღვებს ჯვრის სიმძიმეს და მიწაზე ვარდება. არ ვიცით რა იყო მიზეზი: კაცთ-მოყვარეობა ასისთავისა, რომელიც განაგებდა ამ მოგზაურობას, თუ გულიცობა და შეუბრალებლობა ურიათა, რომელნიც შიშობდნენ სასჯელამდის არ მომკვდარიყო მათი ბოროტების მსხვერპლი, მხოლოდ მხედრებმა კი გადასწყვიტეს მიეცათ იესოსთვის

შეღავათი. განგებამაც არ დააყონა მოგზავნა ამისათვის კაცი, ვინმე სვიმონი, რომელსა უწოდებენ კვირინოსს, და რომელიც, მილიოდა რა ველიდან, ქალაქის შესავალშივე შეხვდა ამ საშინელ მოგზაურობას. აი, ამ კაცს არგუნა განგებამ უუდიდესი პატივი ღმრთელობა—წაეღო გოლგოთამდის ჯვარი ქრისტესი. მხედრებმა, ვისიმე იქ მყოფის ჩვენებით, რომ სვიმონი თანაუგრძნობდა იესო ქრისტეს სწავლას, თუ რამ სხვა მიზეზით—წმ. მახარებელი ამას არ გვამცნებს—უყოყმანოდ სტაცეს ხელი მას და წააღებინეს სასჯელის ფრიად სამარცხენო იარაღი (ჯვარი). ამის შემდეგ ხალხი ისევ გაუდგა გზას. ძველი თქმულებანი მოგვითხრობენ მრავალ ამბებს ამ სამწუხარო გზისას; სახარებაში კი მხოლოდ ერთადერთი ამბავია მოთხრობილი. მახარებელი ლუკა გადმოგვცემს, რომ მათ რიცხვში ვინც იესოს მისდევდნენ, იყო მრავალი დედაცაცოცო. ამ სიძარბოს დროს მაცხოვარმა მამაკაცებში ვერ შენიშნა მისდამი მებრალცების ანუ თანაგრძნობის გამოხატვა; შეიძლება, ამის მიზეზი ექვით ანუ სინანულით გარემოცული მათი გონება იყო, ან კიდევ ღრმა ჯავრი და უსაზღვრო მწუხარება—რაც უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ზაგენი მათნი კი სლუმდნენ. მაგრამ დედაცოცეს კი, რომელნიც უბედურებაში მამაკაცებზე უფრო მგრძნობიარე არიან და რომელთაც უფრო ნაკლებათ შეუძლიათ დიკავონ თავისი გრძნობანი, არ შეეძლოთ და არც უნდოდათ დაეფარათ თავისი ქმუნვა და შიში, რომლებითაც აღიესო მათი გული, როცა დაინახეს იესო, რომელსაც ჯვარის სიმძიმით ფეხები ეკეცებოდა. უფლისათვის, რომელიც შეგვბრუნდა ისიც კი არ დავივიწყო, ვინც ჩემი სახელის გულისათვის მიაწოდოს მწყურვალს ჯამით წყალიცო, რასაკვირველია, დედაცაცოთა სიბრალული, არ შეიძლება, უსიამოვნო ყოფილიყო. მაგრამ სიკვდილი, რომელზედაც ის ახლა მიდიოდა, მალე იდგა ადამიანთა ცრემლებზე. ამისათვის იესო მიუბრუნდა მათ და უთხრა: «ესულრო იერუსალიმისანო! ნუ სტირთი ჩემზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შეილთა თქვენთა. რამეთუ ამა ესე-რა მოვლენან დღენი, რომელთა შინა სთქვან: ნეტარ არიან ბერწნი და მუცელნი, რომელთა არა შენეს; და ძუძუნნი, რომელთა არა განზარდნენს. მაშინ იწყონ სიტყვად მათთა: დამეცენით ჩვენ ზედა და ბორცვთა: დამფარენით ჩვენ. რამეთუ უკეთუ

\*) იხ. „მწევესი“ № 12, 1905 წ.



ნდელსა ხესა ესრეთ უყოფენ, ხმელსა მას რაიმე  
ყოს?» (ლუკ. 23, 28—31).

ეს სიტყვები მაშინ ყოველ ებრაელს უნდა  
ჩაბეჭდოდა გულში და საჩქაროთ მოენანებია თავისი  
კლდე: ვინაიდან ეს იყო მაცხოვრის წინასწარმეტ-  
ყველება იმ უბედურებაზე, რომელიც მათ მოელოდა  
—წინასწარმეტყველება, რომელიც საოცარის სინა-  
მდვილით აღსრულდა შემდეგში, როცა მტრებმა  
იერუსალიმს ალყა შემოარტყეს. შეიძლება, იმ გან-  
კითხვის დღეს მრავალმა ურიაშაკ მოიგონა წინასწარ-  
თქმა მაცხოვრისა—მაგრამ გვიანდა იყო.

აი ხალხი მიუახლოვდა ბოლოს იმ ადგილს,  
რომელსა ეწოდება გოლგოთა. რისთვის უწოდებენ  
ამას ასე—არ ვიცი. შეიძლება, რომ ეს იყო სას-  
ჯელის ჩვეულებრივი ადგილი. როგორც გარდმო-  
ციემა მოგვითხრობს, აქ, ამ მთაზე ემარხა ადამის  
თავი; აქვე აბრაამმა აღმართა დანა თავისი შეილის  
ისააკის დასაკლავად, და აი, ახლა ძე ღვთისაზე  
მართლა უნდა შესრულებულიყო ის, რისაც ისააკი  
მხოლოდ ნიშანი იყო.

იმ დროს, როცა მხედარნი მიწაში ჯვარს ასო-  
ბდენ და ამგარებდენ, იესო ქრისტეს, როგორც  
ამისთანა დროს ჩვეულება ჰქონდათ, მისცეს სასმელი  
(ძმარი) ნაღვლით შეზავებული. ეს სასმელი ადამიანს  
უბრუნებდა ტვინს და უწოდებდა ნერვებს; ამიტომ,  
ვინც მას მიიღებდა, უფრო ნაკლებად იგრძნობდა  
ჯვარზე მიღურსმნისაგან წარმომდგარ საშინელ  
ტკივილებს. უფალმა მოითხოვა სასმელი წყალი—  
მაიწოდეს ღრუბლით ძმარი შემზადებული ნაღვლით-  
თა. მან მიიღო და რა გემო იხილა აღარ დალია,  
მხოლოდ მოაგონა ყველას ამ სასმელის მიღებაზე  
წინასწარმეტყველისაგან თქმული. მას არ სურდა  
გამაბრუნებელი სასმელი მიეღო, ვინაიდან მას სუ-  
რდა მიეღო ყოველივე ტანჯვა სრულის გრძობით  
და გონებით.

**ჯგერტძა.**

როდესაც ჯვარი მიწაში გაამაგრეს, მხედრებმა  
ჩვეულებისამებრ გააძვირეს იესო ქრისტეს სამოსელი,  
აიღეს ყოვლად სწიდა სხეული მისი, მიიტანეს ჯვა-  
რზე დაადგეს მას ხელის-აგულზე ლურსმნები, დაჰკ-  
რეს ურო და ჩაარტყეს ხეში. უთუოდ ამ წარმოუ-  
დგენელ საშინელების ეამს გაისმა მაცხოვრის ხმა,  
—ხმა არა აუტანელ ტანჯვისაგან გამოწვეულ—გა-

დებისა და წყევალ-კრულებისა უფულო მტარვალთა  
მიმართ, არამედ ხმა გულმოდგინე და ლოპობიერ  
ლოცვისა მოწყალე ღმრთისადმი თავის მზეც და  
შეუბრალებელ მკვლელთათვის. „მამა! მიუტყვე  
მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“. ვინ იცის,  
თუ არ მაცხოვრის ამ ლოცვის, იქნებ ბუნებას  
ვერც-კი გადაეტანა შემოქმედის ასეთი გაკიცხვა და  
მტერნი უფლისა, როგორც ერთ დროს მტერნი  
მისესი და არონისა, ჩანთქა დედამისისა, რომელიც  
ძრწოლით იკავებდა თავისი ჯვარცმულ უფალს.

იესო ქრისტესი და მასთან ერთად ორი სხვა  
აეზაიკს ჯვრებზე გაკვრა რომ გაათავეს, მხედრებმა  
იწყეს მაცხოვრის სამოსლის დანაწილება. ზემო სა-  
მოსელი და სხვაც მათ გაიყვეს ოთხნაწილად. ხო-  
ლო კვართზე კი წილი იყარეს. ეს განაწილება  
რომ გაათავეს, მერე დაჯდენ ჯვრების ფერხითი  
და ელოდენ ჯვარცმულთა სიკვდილს, უფულო და  
უგნურ ბრბოს კი მისცენ ნება გაეკიცხათ იესო  
ქრისტე.

**სანახულის დოკტა კეთილგონიერას ზგზგასას**

რომელმან აეზაიკი, შენ-თანა ჯვარ-  
ცმული დღეს, ღირს-ჰყუე სამოთხეს,  
მეუფეო ქრისტე, მომიხსენე შენსა  
სასუფუველსა, რომელმან ჩვენ-თვის  
ჯვარცმა თავს-იდე, უფალო ღიდემა  
შენდა. (განაწილ. დიდისა პარას.).

ვინ იყო ეს კეთილგონიერი აეზაიკი, რომელ-  
საც ეკლესია უგალობს ასეთ ღიდებულ საგალობ-  
ლებს? რასაკვირველია, არ შეიძლება დიდი მნიშვნე-  
ლობა მიესკეთ იმ ძველ გარდმოცემას, რომელიც  
მას უწოდებს სახელად „ღისმას“; არც იმ კეთილ  
თქმულებას, რომ ვითომ ამას გადაერჩინოს სიკვდი-  
ლისაგან მღვთისმშობელი და ყრმა მისი ეგვიპტეში  
ლტოლის დროს. მაგრამ ეს კი ადვილი შესაძლე-  
ბელია, რომ გენესირეთის მიდამოებში არა ერთხელ  
მიახლოვებოდეს იესოს იმ დროს, როცა ეს გამოდი-  
ოდა აეზაიკთა რომელიმე გამოკვამულიდან. ისიც  
ადვილი შესაძლებელია, რომ ეს კუთვნილობდეს მეზ-  
ვერეთა და ცოდვილთა რიცხვს, რომელნიც ასე  
ხშირად იჯგუფებოდენ, მაცხოვრის გარშემო, რათა  
გაეგონათ მისგან სიტყვანი „საუკუნო ცხოვრებისა“. თუ ასეა, მაშ მაცხოვრის სიტყვებს ჰქონიათ მის  
გულში ქუნქული, არა ყველა დავარდნილა კლდე-



ვან ადგილს და ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ სოკელილის ეპოს, როდესაც იმან მიიღო თავისი ბოროტმოქმედებისათვის საზღაური, რწმენის ნაპერ-წყალი გაღვივდა და აღენათ მის გულში. როგორც ხშირად ფრულით დაფარულ ცეცხლისაგან ავარდება ხოლმე ალი, ეგრეთვე მის გულში, რომელიც სქლად დაფარული იყო ცოდვილ ცხოვრებით, ჯერ კიდევ არ იყო სრულიად გამქრალი ღვთისადმი სიყვარული. იმ დროს, როცა ის შეპყრებდა ჯვარზე მილურს-მულს იესოს და ისმენდა, თუ როგორ დასციროდა მას (იესოს) უგუნური ბრბო, მის გულში ოდნავ მბრუნებდა რწმენის ნაპერწყალიმ იწყო უფრო-და-უფრო გაღვივება; და აი ბოლოს ვეღარ დიტიია ის, რაც ხდებოდა მის გულში. გონება მისი აღინთო მრისხანებით, ხოლო გული მიისწრაფოდა აღეარება ჯვარცმული ქრისტე. ამიტომ, დაგმო მა უგუნური თვისი ამხანაგი, რომელიც ბაძვდა უფულო ბრბოს იესო ქრისტესადმი უსირცხვილო გინების, მიუბრუნდა მაცხოვარს და ლომობიერათ წარმოსთქვა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხეიდე სუფევითა შენითა“. მაშინ იესომ, რომელიც იმდენ ხანს, მიუხედავთ მასზე ლანძღვა-გინებისა, სდუმდა, მიუღო მას: „ამინ გეტყვი შენ, დღეს ჩერთან იყო სამოთხესა“ (ლევ. 23, 42-43).

(შემდეგი იქნება)

მდ. ბ. კახანიძე.

**წერილი ჩედაძეისადმი.**

წარსულს წელს კახეთ «აგროა»-ში იყო გამოცხადებული ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისაგან, რომ ჩვენი ს. ზოგადილება მთავალი არის პატრიარქთან მოქმედებს კაცის წერეთლის წინადადება და ხაუთიერ მრომის ჩვენი სამშობლო საღატურატურო საზარეულ და დაარსოს მის სახელზე ფონდი, რომლისთვისაც თვით მან შეწირა ასი მანეთი. ამ წინადადებას სთამოგებთ შეხვდა სამდე-დელობა რწმუნებულის ჩემდამო ბარის სახელდამინო კვლევებისა და მთ წარსულის 1904 წლის დეკემბრის 22-ს რიცხვს ურიალობებდ; შეძლების-დაცვარად, შესწირვის აღნიშნული საქმისათვის ოცდაცხრა მანეთი და

65 კ. და მასთანვე ცხრა მანეთი, ფასად ბ-ნ აკაკი წერეთლის-შერ გამოცემული წიგნის «ჩემი თავდასავალი» (ფასად), რომელშიადაც ცხრა ცალი წიგნი უნდა მიკველო. აღნიშნული ფულები 38 მ. და 65 კ. იმ დროსვე მე წარგზავნე შემწირულთა სით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და ვითხოვე: მიტევა მასი სადაც და ვისდამად ჟერ-იყო, ხოლო შემწირულთა ვინათის და შეწირულთა რაოდენობის გამოცხადება კახეთის საშუალებით, რომელი გამოცხადებაც, ეტევი არ არის, იქნებიდა გავლენას და წახალისებას ბეგრის სისვასც შეწირულებსზედ ნახვენბი საქმისათვის. რაკი რამოდენიმე თვემ განვლო და კახეთშია ჩვენი შეწირულება არ გამოცხადდა, ამისთვის, წერითთ 5 აბრიადადნ ამა 1905 წ. № 70, მე მოვითხოვე აღნიშნული საზოგადოებიდან ცნობა: მიადეს თუ არა ჩემ-შერ წარგზავნილი ფულები, რათა ამხარი ცნობა მე შეჩვენება შემწირულთათვის, მოსახზობად უოველივე ეტევისა, მაგრამ, განსცვიფრებულად ჩემდა, დღემდის არაფერა ცნობა არ მომსვლია.

აქ მე არ შეგალ მის განხილვაში თუ რამდენათ ცუდათ იმოქმედებს ეს შემწირულებსზე და რამოდენად უგრალებს გულს და სურვილს საზოგადო საქმეშია მოწარმეობის მიღებაზედ, ვატევათ მხოლოდ, რომ პატრიარქს და საქმის უნდალო და კარეკანი ფთრამ მოითხოვს, რათა ეცნობის ფულის წამრგზავნის მის მიღებაზედ უოველივე ვინც უნდა იუოს ეტე ვითარი შეწირულების შემტანელი, თუ გინდა უველასკან განაცხეულა და აბუნად აკლებული, მსკავსათ ჩვენ-სამდედელობისა, მსკავსადვე უურადლებით მოკვეტც ჩვენ სოფო ხატონი აკაკი წერეთელიც, რომელასაც მე წარგზავნე წინა წელში ხუთი მანეთი ცალი სოფისოდ ზემორე აღნიშნულთა მათის წიგის გამოცემაში, თანახმად მათის განცხადებისა სხე. «აგროაში». ხუთ მანეთშია მე უნდა გადმოცემა და ხუთი ცალი იმა წიგნისა, მაგრამ ჟერეთაც არ მიმიღია.

მ. რ.

უმოზროლუსად ცთხიკთ მისკეთ ადგილი ურნალ «მწევეში», ამ წერილს ვასამართლებულად ჩემდა შემწირულთა წინაშე.

ბლადიმინი მღვ. მიხეილ სიბირტაძე.



**რედაქციის პასუხი**

რამდენიმე ცნობის მოყვრათ. კომიტეტი რედაქციისა და სტამბის მიღებას რუსეთ-იაპონიის ზავის ჩამოგდებას უტარს...

ახს. ნა—ქს. თქვენ ეურნალი არ მოგდით, რადგან ფული არ წარმოგიდგინათ.

მდგ.ბ—ს. კრების დადგენილება სამღვდლოებისაგან შეკრებილი ფულის გასესხების შესახებ და ისიც უგარანტიოთ უკანონო და სისრულეში არ უნდა მოიყვანონ.

სტაროსტა მ—ძს. ჩვენც გემოწმებით, რომ უკანასკნელი დროის იმერეთის ეპარქიის ქარხნის სანთელი არ ვარგა, მაგრამ დამნაშავე ამაში ყოფილი კომიტეტი გახლავთ, რომელმაც ყალბი სანთელი მიიღო მოკანტრახტეაგან წინააღმდეგ კანტრახტისა... კომიტეტი ვერ გაბედავს ეურნალში დაბეჭდოს სანთლის ქარხნის ანგარიში, რადგან ბევრი უწყისაგან გამოიშვარავენ.

ზოგაერთეს. ვოსტოგოვი ჯერეთ კიდევ აქედამ იღებს ჯამაგირებს. ეს გასაკვირველი არ არის. ხომ იცით, რომ პორტ-არტურის ნამესტნიკი ახლახან დაითხოვეს ნამესტნიკობიდან თუმცა ერთ წელზე მეტია რაც პორტ-არტური იაპონელებს დაისაკურთეს და აღექსევეი პეტერბურტში ბრძანდებოდა მშენებერ სასტუმროში.

**რედაქციისაგან** ამ ნომერთან იგზავნება უფასოდ იყენის ეურნალის სელომწერლობათათვის წიგნაკი გამოკემული პ. ი. ლეფავასგან «რეგული სიტყვები», წიგნი გეოთბე.

**შ ი ნ ა ა რ ს ი :**

**სალიტერატურო განყოფილება:** საქართველოს ეკლესია და სამღვდლოება უწინ და ესლა, №№-სა—ახალნი სავლობელნი წმიდისა მოწინისა აბო თბილელისა, დეკ. კ. კვეკელიძისა.—კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს სხდომა.—სიღნაღის მარხის სამღვდლოების კრება.—მზრუნველის კომისიისაგან შედგენილი სახალხო სკოლის პროგრამა.—თვალსაზი ნო ნაბიჯი.—ჯარში გასაწყვეთა შედეგები.—ყველა კარგია, რაღა!—რეზოლუცია, გოლის სასულიერო სასწავ. ოლქ. სამღვდლოების დებ. კრ. 27 ივნისს.—ეურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მისწინარება ძინსტანოვსკის ხატ-მონომახსა და კითხლ-წმინოვსკა:** ენება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მღ. მ. კაპანაძისა.—წერილი რედაქციისადმი, მღ. მ. სირიელისა.—რედაქციის პასუხი.—რედაქციისაგან.—განცხადება.

**განცხადება.**

მიიღება ხელის-მოწერა 1905 წლისათვის ორ-კვირულ ბამოცემათა მართულს

XXII წ. „**მწუქემს**“—ზე XXII წ.

დ

XX წ. რუსულ «**ПАСТЫРЬ**»-ზე XX წ.

ე უ რ ს ა ლ ი ს ო ა ს ი :

12 თვით მწუყემსია 3 მ. | 6 თვით მწუყემსია 2 მ. — ,, რუსული ,, 3 მ. | ,, რუსული ,, 2 მ. — ,, ორივე გამოცემა 3 მ. | ,, ორივე გამოცემა 3 მ. მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა

**ეგორაღაშა** რედაქციაში, თბაღისსა წარა-კოხვის გამაუკეღებელ საზღადოების წიგნის მ. ლაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან ორივე ეურნალისთვის უნდა წარმოადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ ივლისს. მარტო „მწუყემსი“-სთვის: პირველ იანვარს ორი მან. და პირველ ივლისს ერთი მანეთი.

სოფლის მსწავლეებოთ და ღარიტ გაზეთებრი დეგომობათ მთელის წლით ორივე გა'ო. კ. სა მ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ეგორაღაშა რედაქტორის საკუთარ სახლგში.

ზარემ მცხ-აგრებთ ეურნალის დაბარება შეუძლი ამ აღრესით: Вь Квирили, въ редакцію газеты журнала „**МЦКЕМСИ**“ и «**ПАСТЫРЬ**».

რედაქციაში მოვობა წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემა „მწუყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთობათ მსუტკილთ.

რედაქციაში მოვობება აგრეთვე ეგა-და-სხვა სას-ულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალიკი დრო-გამოშვებით ეურნალში დაც იბეჭდუ და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

რედაქტორ-გამომკემელი დეტ. ჯ. ლაშაშიძე Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе  
Дозволено цензурою, Архимандритъ Георгій 29 Юля 1905 г.

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собст. домѣ.